

**საქართველოს მთავრობის
განკარგულება
N 139 2014 წლის 27 იანვარი ქ. თბილისი**

**შელავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და
შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის დამტკიცების
შესახებ (სათაური 14.06.2019 N1361)**

1. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის N 2144 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს:

ა) შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი (დანართი №1); (13.02.2017 N 246 ძალაშია 2017 წლის 15 თებერვლიდან)

ბ) გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (დანართი N2). (14.06.2019 N1361)

1¹. ამოღებულია (20.11.2015 N 2523)

2. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 დეკემბრის N2144 განკარგულებით შელავათიანი აგროკრედიტის დაფინანსებისთვის გამოყოფილი თანხები მოხმარდეს აგრეთვე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ შელავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში 2013 წელს გაცემული სესხის თანადაფინანსებას.

3. განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „შელავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერილობების“ მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის 23 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

4. ამოღებულია (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

პრემიერ-მინისტრი
ლარიზაშვილი

ირაკლი

დანართი №1 (13.02.2017 N 246 ძალაშია 2017 წლის 15 თებერვლიდან)

შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი (შემდგომში — პროექტი) ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: „შეღავათიან აგროკრედიტს საბრუნავი საშუალებებისთვის“, „შეღავათიან აგროკრედიტს ძირითადი საშუალებებისთვის“ და „შეღავათიან აგროლიზინგს“ (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

2. პროექტის განმახორციელებელია ა(ა)იპ - სოფლის განვითარების სააგენტო. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

3. პროექტით გათვალისწინებულ შეზღუდვებზე გამონაკლისის დაშვების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

პროექტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო; (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ბ) კომპონენტი – პროექტის ფარგლებში არსებული შემდეგი კრედიტის კატეგორიებიდან ერთ-ერთი შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის; შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის; შეღავათიანი აგროლიზინგი; (27.03.2024 N 423)

გ) ქვეკომპონენტი – კომპონენტის ქვეკატეგორია;

დ) ანუიტეტი – სესხის დაფარვის ფორმა, რომელიც გულისხმობს დროის თანაბარი პერიოდულობით თანაბარი მოცულობის თანხის (ძირითადი თანხა და პროცენტი) გადახდას;

ე) არასტანდარტული გრაფიკი - ინდივიდუალურად შემუშავებული სესხის დაფარვის გრაფიკი;

ვ) ბენეფიციარი - მატერიალური სარგებლის მიმღები პირი;

ზ) თავდაპირველი სესხი – პროექტის ფარგლებში გაცემული სესხი, რომელიც გაიცა მის რეფინანსირებამდე;

თ) ინვენტარი – ნივთების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება პროდუქციის წარმოების, დამუშავებისა და რეალიზაციის დროს;

ი) ინფრასტრუქტურა – მეურნეობის იმ დარგების კომპლექსი, რომლებიც ემსახურება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებას და განაპირობებს სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. ფართო გაგებით, იგი უზრუნველყოფს კვლავწარმოების პროცესის გარეგანი პირობების შექმნას, წარმოადგენს მეურნეობის განსაკუთრებულ სფეროს, რომელიც მომსახურებას უწევს როგორც წარმოების, ისე მიმოქცევის დარგებს;

კ) იურიდიული პირი – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სუბიექტი;

ლ) კრედიტის ვადა – კრედიტის ვადა განისაზღვრება კრედიტის გამცემ ფინანსურ ორგანიზაციასა და კრედიტის მიმღებ პირს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილი დროის შესაბამისად;

მ) კრედიტის მიზნობრიობა – კონკრეტული კომპონენტით/ ქვეკომპონენტით განსაზღვრული სესხის გაცემის მიზანი;

ნ) მეორადი უზრუნველყოფა – სესხის უზრუნველყოფა, რომლის გადახდის ალტერნატივად გამოყენება ხდება პირველადი უზრუნველყოფის ათვისების შემდეგ დარჩენილი დაუფარავი ვალდებულების შემთხვევაში;

ო) მსესხებელი – კრედიტის მიმღები ფიზიკური ან იურიდიული პირი;

პ) პარალელური სესხი-ერთი მსესხებლის მიერ 2 ან მეტი დაუფარავი სესხი ერთი კომპონენტის ან ერთი ქვეკომპონენტის ფარგლებში; *(4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

ჟ) საბრუნავი საშუალება – ის მიმდინარე აქტივი, რომლის ფულად ქცევა შესაძლებელია ერთი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;

რ) ძირითადი საშუალება – მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების/მომსახურების გაწევის, იჯარით (მათ შორის, ლიზინგით) გადაცემის ან/და ადმინისტრაციული მიზნებისთვის და რომლის სასარგებლო გამოყენების ვადა ერთ წელზე მეტია;

ს) საპროცენტო განაკვეთი – საფინანსო ინსტიტუტის მიერ განსაზღვრული სესხის ძირითად თანხაზე დარიცხვის განაკვეთი;

ტ) საფინანსო ინსტიტუტი – პროექტში მონაწილე საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკები;

უ) საშეღავათო პერიოდი – პერიოდი, რომლის განმავლობაში მსესხებელს სავალდებულო წესით არ მოეთხოვება სესხის ძირითად თანხაზე დარიცხული პროცენტის და/ან სესხის ძირითადი თანხის გადახდა;

ფ) სესხი/კრედიტი – პროექტის ფარგლებში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული ფულადი სახსრები წინასწარ განსაზღვრული საპროცენტო სარგებელით, ვადითა და მიზნობრივობით;

ქ) სესხის გაცემის (მომსახურების) საკომისიო – საფინანსო ინსტიტუტის მიერ დაწესებული ტარიფი, რომელსაც მსესხებელი იხდის სესხის გაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისთვის;

ღ) სესხის მიზნობრივი თანადაფინანსება – სააგენტოს მიერ პროექტის ფარგლებში გადახდილი მიზნობრივი თანხები;

ყ) სესხის დაფარვის გრაფიკი – სესხის თანხისა და მასზე დარიცხული პროცენტის წინასწარ განსაზღვრული მოცულობითა და პერიოდულობით დაფარვის განრიგი;

შ) სესხის რეფინანსირება – ერთი პირის მიერ საკუთარი მიმდინარე სესხის მთლიანი ან ნაწილობრივი დაფარვა იმავე ან სხვა საფინანსო ინსტიტუტიდან მიღებული ახალი სესხით;

ბ) უზრუნველყოფა – მსესხებლის მიერ წარდგენილი საფინანსო ინსტიტუტისთვის მისაღები ნებისმიერი ქონება, რომლის რეალიზაციით საფინანსო ინსტიტუტი აინაზღაურებს კრედიტის დაუბრუნებლობით მიღებულ ზიანს;

გ) ფიზიკური პირი – საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე;

დ) პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმო – საწარმო, რომელიც ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად წარმოებას;

ე) რესტრუქტურიზაცია – სესხის/ლიზინგის დაფარვის გრაფიკში ცვლილების შეტანა, მათ შორის, რეფინანსირების გზით (რესტრუქტურიაზაციად არ მიიჩნევა სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება);

ქ) ლიზინგი – ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისთვის განსაზღვრული ქონების ხელშეკრულებაში დათქმული ვადით სარგებლობაში გადაცემა, ამ ქონების შესყიდვის უფლებით ან ასეთი უფლების გარეშე, ლიზინგის მიმღებისა და ლიზინგის გამცემის მიერ დადგენილი პერიოდულობით, საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლით;

ხ) ლიზინგის გამცემი - პროექტში მონაწილე სალიზინგო კომპანია, რომელთანაც სააგენტო გააფორმებს შესაბამის ხელშეკრულებას;

ჯ) ლიზინგის მიმღები – საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდემწარმე ან მეწარმე იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს ლიზინგის მიმღებს სალიზინგო კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და რომელიც აკმაყოფილებს შეღავათიანი აგროლიზინგის მოთხოვნებს;

3) ლიზინგის ხელშეკრულება – ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულება;

3¹) ლიზინგის საგანი – ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის მიმღებისთვის ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ქონება;

3²) ლიზინგის ვადა – ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის შეთანხმებული ვადა, რომლითაც ლიზინგის გამცემი ლიზინგის საგანს გადასცემს ლიზინგის მიმღებს;

3³) ლიზინგის საგნის ღირებულება – ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის ლიზინგის საგნის ხელშეკრულებით დადგენილი ღირებულება;

3⁴) ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობა – ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის ღირებულებიდან ავანსად გადასახდელი თანხა;

3⁵) ლიზინგის გამცემის ინვესტიცია – ლიზინგის გამცემის მიერ დაფინანსებული ლიზინგის საგნის ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც დაერიცხება წლიური სარგებელი;

3⁶) სალიზინგო საზღაური – ლიზინგის მიმღების მიერ პერიოდულად გადასახდელი თანხები, ლიზინგის ხელშეკრულების გრაფიკის მიხედვით;

37) დარიცხული სარგებელი – ლიზინგის გამცემის ინვესტიციაზე დარიცხული წლიური სარგებელი;

38) ლიზინგის მიზნობრივი თანადაფინანსება – სააგენტოს მიერ ლიზინგის მიმღებისთვის გადასახდელი სალიზინგო საზღაურის თანადაფინანსების თანხა;

39) თანადაფინანსების პროექტი – „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი“; (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

310) სეზონი – შესაბამისი ქვეკომპონენტით განსაზღვრული ყოველწლიური დროის შუალედი;

311) სახელმწიფო საწარმო – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომლის აქციების ან წილის 50%-ის ან მეტის მესაკუთრეა სახელმწიფო;

312) მუნიციპალური საწარმო – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომლის აქციების ან წილის 50%-ის ან მეტის მესაკუთრეა მუნიციპალიტეტი;

313) სახელმწიფოსთან აფილირებული საწარმო – სახელმწიფო, მუნიციპალური ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოს შვილობილი საწარმო; სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრებით პირდაპირ ან არაპირდაპირ დაფინანსებული საწარმოები; სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მეშვეობით დაფინანსებული საწარმოები; ასევე სახელმწიფო, მუნიციპალური ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოები, რომლებიც მართვის უფლებით გადაცემულია მესამე პირებზე;

314) პარალელური აგროლიზინგი – ერთი აგროლიზინგის მიმღების მიერ 2 ან მეტი დაუფარავი აგროლიზინგი, ერთი კომპონენტის ან ქვეკომპონენტის ფარგლებში;

315) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთი – სესხის საპროცენტო განაკვეთი, რომლის მოცულობაც პერიოდულად იცვლება სესხის ვადის განმავლობაში. საპროცენტო განაკვეთი იქმნება 2 შემადგენელი ნაწილისაგან: ძირითადი განაკვეთი, რომელიც იცვლება ბაზრის კონიუნქტურაზე დამოკიდებულებით (ამ შემთხვევაში, რეფინანსირების განაკვეთი) და დანამატისაგან, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ სიდიდეს;

316) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი – სესხის საპროცენტო განაკვეთი, რომელიც უცვლელია სესხის მთელი პერიოდის განმავლობაში;

317) რეფინანსირების განაკვეთი – ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტი და ერთგვარი ორიენტირი ფულადი საბაზრო განაკვეთებისათვის;

318) თანადაფინანსების შეთანხმება – პროექტის ფარგლებში, სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის ან სააგენტოს, ბენეფიციარსა და საფინანსო ინსტიტუტს შორის გაფორმებული მიზნობრივი თანადაფინანსების შეთანხმება.

319) იმპლემენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკაზე მისაბმელი, რომელსაც გააჩნია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება. (25.01.2018 N 182 ძალაშია 2018 წლის 1 თებერვლიდან)

320) აუდიტორული დასკვნა -სააგენტოს გამგეობის მიერ განსაზღვრული პირ(ებ)ის მომზადებული დასკვნა; (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

321) სანაშენე ფერმა მერძეული – ან/და მეხორცული ან/და კომბინირებული მიმართულების მსხვილფეხა სანაშენე პირუტყვის მომშენებელი მეურნეობა. (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

მუხლი 3. პროექტის მიზნები

1. პროექტის მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის ხელშეწყობა, ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

2. პროექტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები საფინანსო ინსტიტუტებისგან მიიღებენ შეღავათიან აგროკრედიტს/ აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის.

3. პროექტის ფარგლებში სესხი გაიცემა მხოლოდ იმ პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროექტით განსაზღვრულ პირობებს.

მუხლი 4. კომპონენტი შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის

1. პროექტის ფარგლებში, აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად გაიცემა ბენეფიციარებისთვის შემდეგი ქვეკომპონენტების ფარგლებში:

ა) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები;

ბ) ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის წარმოების მიზნით;

გ) ატმის შემსყიდველი საწარმოები;

დ) არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოები;

ე) მანდარინის შემსყიდველი ან/და გადამამუშავებელი საწარმოები.

ვ) ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის. (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე) 2025 წლის სეზონზე ამოქმედდეს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ „ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის“ ქვეკომპონენტი. (4.03.2025 N 388)

ზ) ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

თ) თხილის პირველადი წარმოების დაფინანსებისთვის. (29.11.2022 N 2189 ამოქმედდეს 2023 წლის სეზონზე)

2. კონკრეტულ კალენდარულ წელს თითოეული ქვეკომპონენტი ამოქმედდება საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების შემთხვევაში. (29.11.2022 N 2189)

3. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებსა და პროექტის მოთხოვნებს.

3¹. პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

4. დასაშვებია ერთ მსესხებელზე ერთზე მეტი პარალელური სესხის გაცემა იმ პირობით, რომ ასეთი სესხების საერთო თანხა არ გადააჭარბებს შესაბამისი ქვეკომპონენტით ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრული შეღავათიანი აგროკრედიტის ჯამური სესხის მაქსიმალურ თანხას ერთ სეზონზე.

5. დასაშვებია სესხის რესტრუქტურიზაცია, თუ რესტრუქტურიზაციის შედეგად სააგენტოს თანადაფინანსების ჯამური თანხა არ აღემატება სესხის რესტრუქტურიზაციის თარიღისათვის გრაფიკით გათვალისწინებულ თანადაფინანსების დარჩენილ ჯამურ თანხას.

6. დასაშვებია სესხის მოქმედების ნებისმიერ პერიოდში მხოლოდ ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის რეფინანსირება, თუ რეფინანსირების თარიღისთვის რეფინანსირების შედეგად არ იზრდება თავდაპირველი სესხის ნარჩენი ძირითადი თანხა, ვადა და სააგენტოს გადასახდელი თანადაფინანსების დარჩენილი ჯამური მოცულობა.

7. დაუშვებელია ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხ(ებ)ით სხვა სესხ(ებ)ის რეფინანსირება, გარდა იმავე სეზონზე შესაბამისი ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხ(ებ)ისა.

8. კრედიტის გაცემისთვის საფინანსო ინსტიტუტის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს:

ა) 50 000 ლარამდე – 0.5%-ს;

ბ) 50 001 ლარი ან მეტი – 0.2%-ს.

9. სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელს საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არ წარმოეშობა წინსწრებით დაფარვის საკომისიო/ჯარიმა.

10. გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტი უფლებამოსილია, მხოლოდ გადასახდელ ძირითად თანხაზე დაარიცხოს მსესხებელს ჯარიმა. ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. სხვა საფინანსო ინსტიტუტის მიერ სესხის რეფინანსირების შემთხვევაში, იმოქმედებს არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებული საკომისიოს განაკვეთი.

12. სესხის დაფარვის გრაფიკის (მათ შორის, საშეღავათო პერიოდის) განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და კრედიტის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

13. სააგენტო მონიტორინგს უწევს კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებს პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე. მონიტორინგის განხორციელების დრო და ფორმა განისაზღვრება სააგენტოს მიერ. პროექტით განსაზღვრული პირობების ან/და მიზნობრიობის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო იმოქმედებს საფინანსო ინსტიტუტებსა და ბენეფიციარებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული და სააგენტოში მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

14. სააგენტოს თანადაფინანსება შეწყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) სესხის სრულად დაფარვა;

ბ) მსესხებლის მიერ თანადაფინანსების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და პროექტის სხვა პირობების დარღვევა. ამასთან ვადაგადაცილების დროს თანადაფინანსება შეჩერდება, ხოლო საფინანსო ინსტიტუტის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსება წყდება;

გ) სესხის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდის ბოლო თარიღიდან 30 კალენდარული დღის გასვლის შემდგომ სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსება წყდება;

დ) საფინანსო ინსტიტუტის მიერ კომპონენტის „შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის“ შესაბამისი ქვეკომპონენტით გათვალისწინებული მიზნობრიობის მქონე სესხის გაცემის შემთხვევაში;

ე) მსესხებლის მიერ სესხის მიზნობრიობის დარღვევის შემთხვევაში;

ვ) პროექტის ფარგლებში გაცემული სესხის პროექტის შეუსაბამოდ რესტრუქტურირების ან რეფინანსირების შემთხვევაში ან/და საფინანსო ინსტიტუტსა და მსესხებელს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შეუსაბამობა სააგენტოსა და საფინანსო ინსტიტუტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებთან, რომელთა გამოსწორება შეუძლებელია აღნიშნულზე საფინანსო ინსტიტუტის ინფორმირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

15. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ვრცელდება ასევე „შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის“ კომპონენტის ყველა ქვეკომპონენტზე, თუ შესაბამისი ქვეკომპონენტით არ არის დადგენილი განსხვავებული პირობები. *(16.10.2023 N 1845 გავრცელდეს პროექტის ფარგლებში გაცემულ შესაბამისი მიზნობრიობის ყველა სესხზე)*

15¹. თუ ბენეფიციარს შეუწყდა თანადაფინანსება განკარგულებით განსაზღვრულ ვადაში აუდიტორული დასკვნის წარმოდგენლობის გამო, სააგენტო უფლებამოსილია, აღუდგინოს ბენეფიციარს თანადაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი აუდიტორული დასკვნით დაადასტურებს სესხის მიზნობრივ ხარჯვას. *(16.10.2023 N 1845 გავრცელდეს პროექტის ფარგლებში გაცემულ შესაბამისი მიზნობრიობის ყველა სესხზე)*

16. ამ მუხლის პირობები არ ვრცელდება თანადაფინანსების პროექტზე.

მუხლი 5. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტის ქვეკომპონენტი ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის

1. ყურძნის გადამამუშავებელ საწარმოებზე საბრუნავი საშუალებებისთვის კრედიტი გაიცემა ყურძნის შესაძენად, ასევე ღვინის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შესაძენად. (16.10.2023 N 1845)

2. ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოების საბრუნავი საშუალებებისთვის კრედიტის გაცემა დასაშვებია ყოველი წლის 20 აგვისტოდან ამავე წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. კრედიტის მიღება შეუძლიათ მხოლოდ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საწარმოებს. აღნიშნულ საწარმოთა ჩამონათვალს სააგენტოს აწვდის სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.

4. ერთ ბენეფიციარზე გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტის ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 000 (ათი მილიონი) ლარს, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის მაქსიმალური ვადა განისაზღვროს 15 თვითა და 29 დღით.

5. სააგენტო განახორციელებს ყურძნის შესაძენად და ღვინის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შესაძენად აღებული კრედიტის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას. სააგენტო არ განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას აღებული კრედიტის იმ ნაწილზე, რომელსაც ბენეფიციარი ვერ ან არ მოახმარს ყურძნის შეძენას და ღვინის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შეძენას. (16.10.2023 N 1845)

6. ბენეფიციარი ვალდებულია, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა, ბენეფიციარის მიერ მიმდინარე წლის სეზონზე ღვინის საწარმოებელი ყურძნის შესაძენად ან/და ღვინის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შესაძენად გადახდილი თანხებისა და მოცულობების შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე გაფორმდება სამმხრივი შედარების აქტი სააგენტოს, ბენეფიციარსა და სესხის გამცემ ბანკს შორის ბენეფიციარის მიერ სესხის მიზნობრიობის შესაბამისად ათვისების თაობაზე. (16.10.2023 N 1845)

7. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ფიქსირებული ან მცურავი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მთავრობის შესაბამისი წლის განკარგულებით სხვა საპროცენტო განაკვეთ(ებ)ი არ იქნა დადგენილი):

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 16%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 15%-ისა

600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 14%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 13%-ისა
5 000 001 ლარიდან 10 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 12%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ისა
5 000 001 ლარიდან 10 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4%-ისა.

8. სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება მოხდება სააგენტოს მიერ სესხის ძირითადი თანხის წლიური 12%-ის ოდენობით, რომელსაც სააგენტო გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, მსესხებლის მიერ სესხის გადახდის პარალელურად. (07.08.2023 N1425)

9. სესხის დაფარვა ხდება ანუიტეტიტ ან არასტანდარტული გრაფიკით. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბენეფიციარისთვის საშელავათო პერიოდი, როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე მიცემულ უნდა იქნეს არანაკლებ მომდევნო წლის 15 იანვრამდე. მომდევნო წლის 15 იანვრის შემდგომ, საშელავათო პერიოდს როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე, განსაზღვრავს სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტი.

მუხლი 6. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტის ქვეკომპონენტი ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოებისთვის, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის წარმოების მიზნით

1. ამ მუხლის შესაბამისად კრედიტი შეიძლება, გაიცეს მხოლოდ იმ ბენეფიციარებზე, რომლებიც ყურძნის შეძენას ახდენენ საბრუნდე სპირტის წარმოების

მიზნით. ასევე შესაძლებელია, დაფინანსდეს ბრენდის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შეძენა. (16.10.2023 N 1845)

2. ამ მუხლით განსაზღვრული პირობებით კრედიტის გაცემა დასაშვებია ყოველი წლის 20 აგვისტოდან ამავე წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ამ მუხლით განსაზღვრული პირობებით კრედიტის მიღება შეუძლიათ მხოლოდ სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ განსაზღვრულ საწარმოებს. აღნიშნულ საწარმოთა ჩამონათვალს სააგენტოს აწვდის სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო.

4. ერთ ბენეფიციარზე გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტის ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 15 000 000 (თხუთმეტი მილიონი) ლარს, ხოლო შეღავათიანი აგროკრედიტის მაქსიმალური ვადა განისაზღვრება 36 თვითა და 29 დღით.

5. სააგენტო განახორციელებს ყურძნის შესაძენად და ბრენდის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შესაძენად აღებული კრედიტის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას. სააგენტო არ განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას აღებული კრედიტის იმ ნაწილზე, რომელსაც ბენეფიციარი ვერ ან არ მოახმარს ყურძნის შეძენას და/ან შეძენილი ყურძნით ვერ ან არ მოხდება საბრენდე სპირტის წარმოება ან/და ვერ ან არ მოახდენს ბრენდის წარმოებისთვის საჭირო მასალების შეძენას. (16.10.2023 N 1845)

6. ბენეფიციარი ვალდებულია, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მომსახურე საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა, ბენეფიციარის მიერ მიმდინარე წლის სეზონზე იმ ყურძნის შესაძენად გადახდილი თანხების შესახებ, რომლითაც მოხდა საბრენდე სპირტის წარმოება, ასევე შეძენილი ყურძნიდან წარმოებული საბრენდე სპირტის ოდენობისა და ბრენდის წარმოებისათვის საჭირო მასალების (ბოთლის, საცობის, ჩაჩის, ეტიკეტისა და ყუთის) შეძენის შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე გაფორმდება სამმხრივი შედარების აქტი სააგენტოს, ბენეფიციარსა და სესხის გამცემ ბანკს შორის ბენეფიციარის მიერ სესხის მიზნობრიობის შესაბამისად ათვისების თაობაზე. (16.10.2023 N 1845)

7. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა იყოს ფიქსირებული ან მცურავი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მთავრობის შესაბამისი წლის განკარგულებით სხვა საპროცენტო განაკვეთ(ებ)ი არ იქნა დადგენილი):

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საკრედიტო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 16%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 15%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 14%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 13%-ისა

5 000 001 ლარიდან 15 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 12%-ისა;
--	--------------------

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ისა
5 000 001 ლარიდან 15 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4%-ისა.

8. სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება მოხდება სააგენტოს მიერ სესხის ძირითადი თანხის წლიური 12%-ის ოდენობით, რომელსაც სააგენტო გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, მსესხებლის მიერ სესხის მომსახურების პარალელურად. (07.08.2023 N1425)

9. სესხის დაფარვა ხდება ანუიტეტივით ან არასტანდარტული გრაფიკით. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბენეფიციარს უნდა მიეცეს საშეღავათო პერიოდი არანაკლებ ყოველი მომდევნო წლის 15 მაისამდე როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე. (27.07.2017 N 1586)

მუხლი 6¹. კომპონენტის - „შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის“ ქვეკომპონენტი – „ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის“ (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა ერთწლოვანი კულტურებისა და იონჯის ერთი საოპერაციო წლის ხარჯების დასაფინანსებლად, შემდეგი მიზნობრიობებით: (1.05.2023 N 822)

ა) სათესი და სარგავი მასალის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

ბ) პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

გ) შრომითი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის;

დ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის გამოყენებული ტექნიკის საწვავ-საცხები მასალების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

2. ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე ერთ სეზონზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრება არანაკლებ 10 000 ლარიდან არაუმეტეს 100 000 ლარის ჩათვლით, ხოლო მარცვლეული კულტურების შემთხვევაში, განისაზღვრება არანაკლებ 10 000 ლარიდან არაუმეტეს 300 000 ლარის ჩათვლით. (14.06.2024 N 876)

4. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული სესხის სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 18%-ს. (21.03.2022 N 498)

5. სესხის ვადისა და გადახდის გრაფიკის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და კრედიტის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

6. სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არა უმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 9%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა უმეტეს 14 თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს სესხის მიზნობრივად ხარჯვას ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული წესით. (1.05.2023 N 822)

7. სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი განსაზღვრავს კონკრეტული ერთწლოვანი კულტურებისა და იონჯის ერთი საოპერაციო წლის მოვლა-მოყვანის მაქსიმალურ ხარჯს 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით. (1.05.2023 N 822)

8. მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება სესხის თანხის ინვესტირება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში (სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივის შემთხვევაში დაშვებულია, სესხის თანხის ინვესტირება განხორციელდეს კოოპერატივის წევრთა/მეპაიეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრების თანხმობა სესხის თანადაფინანსების ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის თანადაფინანსების ვადაზე ნაკლები). (27.03.2024 N 423)

9. ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხზე (გარდა რეფინანსირებული სესხებისა) ბენეფიციარი ვალდებულია, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მომსახურე საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა სესხის მიზნობრივად ხარჯვის შესახებ, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის მე-7 პუნქტით

განსაზღვრულ ერთწლოვანი კულტურებისა და იონჯის ერთი საოპერაციო წლის მოვლა-მოყვანის მაქსიმალურ ხარჯს 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით. სესხის თანხით განხორციელებული ნებისმიერი შესყიდვა (გარდა მომსახურებისა) უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/ იურიდიული პირისაგან ან იმპორტის გზით. (27.03.2024 N 423)

10. სესხის ის პირობები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება მე-4 მუხლით დადგენილი საერთო პირობებით.

11. ამ მუხლით განსაზღვრული პირობებით კრედიტის გაცემა დაიშვება ყოველი წლის 1 თებერვლიდან ამავე წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების. საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 6². მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი საბრუნავი საშუალებებისათვის

(სათაური 2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. მეორადი უზრუნველყოფის კომპონენტი საბრუნავი საშუალებებისათვის ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ მეხორცული ჯიშის მესაქონლეობასა და თხილის პირველად წარმოებაზე გაცემული საბრუნავი საშუალებების სესხებზე მეორად უზრუნველყოფას სააგენტოს მიერ. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

2. კომპონენტის ფარგლებში გაცემული ყოველი ახალი (არარეფინანსირებული/ არარესტრუქტურირებული) სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არა უმეტეს 50%-ის მეორადი უზრუნველყოფა მოხდება სააგენტოს მიერ სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 18 თვის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ სესხი პირველადად უზრუნველყოფილია არანაკლებ 30%-ით. მეორადი უზრუნველყოფა საფინანსო ინსტიტუტზე გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საფინანსო ინსტიტუტი მოახდენს პირველადი უზრუნველყოფის რეალიზაციას და შედეგად ვერ ამოიღებს ნარჩენი ძირითადი თანხის 100%-ს. სააგენტო უზრუნველყოფს სხვაობის შევსებას არა უმეტეს პირველადი უზრუნველყოფის რეალიზაციამდე არსებული ძირითადი თანხის 50%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 300 000 ლარისა. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

3. მეორადი უზრუნველყოფა გაიცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი წარადგენს აუდიტორულ დასკვნას სესხის მიზნობრივად ხარჯვის დასადასტურებლად.

4. კომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

5. იმისთვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებსა და წინამდებარე პროექტის მოთხოვნებს:

ა) პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში;

ბ) ფერმა ან/და მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება აღნიშნული მიზნობრიობის განხორციელება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში უნდა არსებობდეს თანამესაკუთრების თანხმობა სესხის ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის ვადაზე ნაკლები).

6. კომპონენტის ფარგლებში სესხი გაიცემა შემდეგი მიზნობრიობით:

ა) მეხორცული ჯიშის მესაქონლეობისთვის შემდეგი სახის საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად:

ა.ა) არასანაშენე და მოზარდი პირუტყვის შეძენა (როგორც იმპორტის გზით, ასევე ადგილობრივად);

ა.ბ) პირუტყვის საკვების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

ა.გ) პირუტყვის ვეტერინარული პრეპარატების მიმდინარე. დანახარჯების დაფინანსება;

ა.დ) შრომითი რესურსებისა და ვეტერინარის მომსახურების დაფინანსება.

ბ) თხილის პირველადი წარმოებისათვის შემდეგი სახის საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად: *(2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

ბ.ა) პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

ბ.ბ) შრომითი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის;

ბ.გ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის გამოყენებული ტექნიკის საწვავ-საცხები მასალების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

მუხლი 63. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტის ქვეკომპონენტი ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები *(2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

1. ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებზე საბრუნავი საშუალებებისთვის კრედიტი გაიცემა მხოლოდ ჩაის შესაძენად.

2. ჩაის გადამამუშავებელი საწარმოების საბრუნავი საშუალებებისთვის კრედიტის გაცემა დასაშვებია ყოველი წლის 1 მაისიდან იმავე წლის 31 ივლისის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრება 20 000 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსების ვადა განისაზღვროს 12 თვით.

4. სააგენტო განახორციელებს მხოლოდ ჩაის შესაძენად აღებული კრედიტის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას. სააგენტო არ განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას აღებული კრედიტის იმ ნაწილზე, რომელსაც ბენეფიციარი ვერ ან არ მოახმარს ჩაის შეძენას.

5. ყოველი წლის 31 ოქტომბრამდე, ბენეფიციარი ვალდებულია, მომსახურე საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა, ბენეფიციარის მიერ ჩაის შესაძენად გადახდილი თანხების შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე გაფორმდება სამმხრივი შედარების აქტი სააგენტოს, ბენეფიციარსა და სესხის გამცემ ბანკს შორის, ბენეფიციარის მიერ სესხის მიზნობრიობის შესაბამისად ათვისების თაობაზე.

6. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა, იყოს ფიქსირებული ან მცურავი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მთავრობის შესაბამისი წლის განკარგულებით სხვა საპროცენტო განაკვეთ(ებ)ი არ იქნა დადგენილი):

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 17%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 16%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 15%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ისა

7. სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება მოხდება სააგენტოს მიერ სესხის ძირითადი თანხის წლიური 8%-ის ოდენობით, რომელსაც სააგენტო გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, მსესხებლის მიერ სესხის გადახდის პარალელურად.

8. სესხის დაფარვა ხდება ანუიტეტით ან არასტანდარტული გრაფიკით. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბენეფიციარისთვის საშეღავათო პერიოდი, როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე მიცემულ უნდა იქნეს არანაკლებ მომდევნო წლის 15 იანვრამდე. მომდევნო წლის 15 იანვრის შემდგომ, საშეღავათო პერიოდს, როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე, განსაზღვრავს სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტი.

9. სესხის ის პირობები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება მე-4 მუხლით დადგენილი საერთო პირობებით.

მუხლი 6⁴. შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის კომპონენტის ქვეკომპონენტი არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველი საწარმოებისთვის (13.08.2020 N 1527)

1. არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველ საწარმოებზე საბრუნავი საშუალებებისთვის კრედიტი გაიცემა მხოლოდ არასტანდარტული ვაშლის შეძენისა და მისი გადამუშავების მიზნობრიობით. ამასთანავე, ვაშლის გადამუშავებისთვის განკუთვნილი სესხის თანხა არ უნდა აღემატებოდეს 0.09 ლარს, ყოველ შეძენილ ერთ კილოგრამ ვაშლზე გადანაგარიშებით. სესხის მიღება შეუძლიათ მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იქნებიან შესაბამისი წლის ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით შექმნილ საკოორდინაციო შტაბში. (31.08.2022 N 1591)

2. საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არასტანდარტული ვაშლის შემსყიდველ საწარმოებზე კრედიტის გაცემა დასაშვებია ყოველი წლის პირველი სექტემბრიდან ამავე წლის 20 ნოემბრის ჩათვლით. (2.08.2021 N 1323)

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრება 500 000 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით, ხოლო სააგენტოს თანადაფინანსების ვადა განისაზღვროს 9 თვით. (31.08.2022 N 1591)

4. სააგენტო განახორციელებს მხოლოდ არასტანდარტული ვაშლის შესაძენად და გადასამუშავებლად აღებული კრედიტის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას. სააგენტო არ განახორციელებს საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას აღებული კრედიტის იმ ნაწილზე, რომელსაც ბენეფიციარი ვერ ან არ მოახმარს არასტანდარტული ვაშლის შეძენას ან/და გადამუშავებას. (4.09.2020 N 1714)

5. ბენეფიციარი ვალდებულია, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში მომსახურე საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა ბენეფიციარის მიერ მიმდინარე წლის სეზონზე არასტანდარტული ვაშლის შესაძენად გადახდილი თანხებისა

და მოცულობების შესახებ. ამ ინფორმაციის საფუძველზე გაფორმდება სამმხრივი შედარების აქტი სააგენტოს, ბენეფიციარსა და სესხის გამცემ ბანკს შორის, ბენეფიციარის მიერ სესხის მიზნობრიობის შესაბამისად ათვისების თაობაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ვაშლის შემდენისთვის დახარჯული თანხა და რომელსაც დაემატება 0.09 ლარი ყოველ შემდენილ ერთ კილოგრამ ვაშლზე გადაანგარიშებით. (31.08.2022 N 1591)

6. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი: (31.08.2022 N 1591)

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
500 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 14%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 13%-ისა

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
500 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა
1 500 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ისა

7. სესხის საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება მოხდება სააგენტოს მიერ სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით, რომელსაც სააგენტო გადაიხდის სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად, მსესხებლის მიერ სესხის გადახდის პარალელურად. (31.08.2022 N 1591)

8. სესხის დაფარვა ხდება ანუიტეტით ან არასტანდარტული გრაფიკით. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბენეფიციარისთვის საშეღავათო პერიოდი, როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე, მიცემულ უნდა იქნეს არანაკლებ მომდევნო წლის 15 იანვრამდე. მომდევნო წლის 15 იანვრის შემდგომ, საშეღავათო პერიოდს, როგორც ძირითადი თანხის, ასევე საპროცენტო სარგებლის გადახდაზე, განსაზღვრავს სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტი.

9. პოტენციური ბენეფიციარი არ არის ვალდებული, რეგისტრირებული იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში.

10. სესხის ის პირობები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება მე-4 მუხლით დადგენილი საერთო პირობებით.

მუხლი 65. კომპონენტის „შელავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებებისთვის“ ქვეკომპონენტი – „თხილის პირველადი წარმოების დაფინანსებისთვის“ (29.11.2022 N 2189 ამოქმედდეს 2023 წლის სეზონზე)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა თხილის პირველად მწარმოებლებზე, რომელნიც აღრიცხული იქნებიან „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 3 ნოემბრის N516 დადგენილებით დამტკიცებული „თხილის წარმოების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში შექმნილ თხილის ბაღების კადასტრში და რომელთაც გააჩნიათ ჯამურად არანაკლებ 3 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთი(ებ)ი, რომელზეც ინტენსიურად, ნახევრად ინტენსიურად ან ტრადიციულად არის გაშენებული თხილის კულტურა.

2. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა შემდეგი მიზნობრიობებით:

ა) თხილის პირველადი წარმოებისთვის საჭირო პესტიციდების, ორგანული და მინერალური სასუქების, მცენარეთა დაცვის ბიოლოგიური საშუალებების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება;

ბ) თხილის პირველადი წარმოებისთვის შრომითი რესურსებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის;

გ) თხილის პირველადი წარმოებისთვის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის გამოყენებული ტექნიკის საწვავ-საცხები მასალების მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

3. ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

4. ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრება 5 000 ლარიდან 300 000 ლარის ჩათვლით. (27.03.2024 N 423)

5. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული სესხის სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი არ უნდა აღემატებოდეს 18%-ს.

6. სესხის ვადისა და გადახდის გრაფიკის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და კრედიტის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

7. სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არა უმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 8%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა უმეტეს მომდევნო 14 თვის განმავლობაში.

8. თხილის პირველადი წარმოებისთვის მაქსიმალური სესხის მოცულობა 1 ჰა-ზე გადაანგარიშებით არ უნდა აღემატებოდეს 3 000 ლარს. (27.03.2024 N 423)

9. სესხის ის პირობები, რომლებიც არ არის _ გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება მე-4 მუხლით დადგენილი საერთო პირობებით.

10. ამ მუხლით განსაზღვრული პირობებით კრედიტის გაცემა დაიშვება ყოველი წლის 1 თებერვლიდან იმავე წლის 31 ივლისის ჩათვლით, საქართველოს მთავრობის შესაბამისი განკარგულების საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 7. კომპონენტი – „შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის“ (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. კომპონენტი - „შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის“ ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელი და გადამამუშავებელი/შემნახველი საწარმოებისთვის ძირითადი საშუალებებისთვის გამოყოფილ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსებასა და მეორად უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ.

2. სააგენტო უზრუნველყოფს სესხის მომსახურებისთვის გადასახდელი საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსებას ბენეფიციართან თანადაფინანსების შეთანხმების საფუძველზე.

3. პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე, სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს სესხების მონიტორინგი და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს დარღვევებზე.

4. ძირითადი საშუალებების კომპონენტში შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს – 20 000 ლარიდან 75 000 ლარამდე სესხების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

5. იმისთვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებსა და წინამდებარე პროექტის მოთხოვნებს:

ა) პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში;

გ) საწარმო ან/და მიწის ნაკვეთი, სადაც იგეგმება აღნიშნული მიზნობრიობის განხორციელება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრების თანხმობა სესხის თანადაფინანსების ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის თანადაფინანსების ვადაზე ნაკლები). (27.03.2024 N 423)

6. პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებებისთვის სესხი გაიცემა ახალი პირველადი და გადამამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნის,

არსებულის გაფართოების, მოდერნიზაციის ან/და არსებულში სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად, შემდეგი მიზნობრიობ(ებ)ით:

ა) გადამამუშავებელი საწარმოები:

ა.ა) ხორცის, თევზისა და რძის გადამამუშავება;

ა.ბ) ალკოჰოლური სასმელების წარმოება; (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ა.გ) ჩაის წარმოება და/ან დაფასოება;

ა.დ) ხილის, ბოსტნეულისა და კენკროვნების გადამამუშავება;

ა.ე) კაკლისა და თხილის გადამამუშავება;

ა.ვ) მატყლის, ტყავისა და ბეწვეულის წარმოება;

ა.ზ) მცენარეული ცხიმებისა (ზეთის, მარგარინის, ერბოს) და ხალვის წარმოება;

ა.თ) ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;

ა.ი) სასაკლაოს მოწყობა;

ა.კ) მეფუტკრეობის პროდუქციის გადამამუშავება;

ა.ლ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზების საკვების წარმოება;

ა.მ) ორგანული სასუქების წარმოება;

ა.ნ) მაკარონის ნაწარმის წარმოება; (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ბ) ინფრასტრუქტურული საწარმოები:

ბ.ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები;

ბ.ბ) მარცვლეულის საშრობები;

ბ.გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობები;

ბ.დ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთი მასალების წარმოება, გარდა ქაღალდის შესაფუთი მასალის წარმოებისა;

ბ.ე) ალკოჰოლური სასმელებისთვის მუხის კასრების წარმოება;

ბ.ვ) ქვევრების წარმოება ღვინისთვის;

გ) პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები:

გ.ა) მეცხოველეობის ფერმა (გარდა მსხვილფეხა პირუტყვისა); (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

გ.ბ) მეფრინველეობის ფერმა;

გ.გ) ფრინველის საჩეკი მეურნეობა;

გ.დ) ძვირფასბეწვიანი ცხოველების ფერმა;

გ.ე) სათბურები და სხვა დახურული გრუნტის წარმოება (კენკროვანი კულტურებისა და მრავალწლოვანი ყვავილებისთვის განკუთვნილი სათბურის შემთხვევაში, დასამშვებია ნერგებისა და ქოთნების შეძენა); (27.03.2024 N 423)

გ.ვ) თევზის წარმოება;

გ.ზ) მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება (გარდა ფუტკრის ოჯახებისა და სკების შეძენისა);

გ.თ) უხერხემლო მუცელფეხებიანი ცხოველებისა და კრევეტების წარმოება.
(10.10.2022 N1819)

7. შესაძლებელია, დაფინანსდეს შემდეგი სახის სასოფლო-სამეურნეო მიმართულების საქმიანობა:

ა) არსებული შენობების, სათბურების, თევზის ავზებისა და ტბორების მოწყობა, რემონტი;

ბ) ახალი შენობების, სათბურების, თევზის ავზებისა და ტბორების აშენება, მოწყობა, რემონტი;

გ) ტექნოლოგიური ხაზების (მათ შორის, არასტაციონარული), კლიმატის შემქმნელი ტექნიკისა და აპარატურის, გაყინვის დანადგარების, დენის გენერატორის, საწველი აპარატურის, საკვების მოსამზადებელი დანადგარებისა და სხვ. შეძენა, მონტაჟი, რემონტი;
(2.08.2021 N 1323)

დ) შესანახი კამერების, სტელაჟების, ცისტერნებისა და შენახვის სხვა ტექნოლოგიური აღჭურვილობების შეძენა, მონტაჟი, რემონტი;

ე) წყლის ჭაბურღილის მოწყობა, წყლის, ელენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდების წყაროებსა და კანალიზაციაზე მიერთება, განახლებადი ენერგიის წყაროების შეძენა, მონტაჟი, მოწყობა;

ვ) შემდეგი შესაფუთი მასალების წარმოება:

ვ.ა) ბოსტნეულის, ხილისა და კენკრის შესანახი და გადასაადგილებელი ხისა და პლასტმასის ყუთები;

ვ.ბ) ალკოჰოლური სასმელების ჩამოსასხმელი მინისა და თიხის ბოთლები, საცობები;

ვ.გ) საკონსერვო და გადამამუშავებელი საწარმოების პროდუქციისთვის მინის, თუნუქისა და პლასტმასის ტარა, ხუფები;

ზ) საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სპეცტექნიკისა და მისაბმელების (მტვირთავის, ნაკელის გამტანის, საკვების შემრევ-მიმწოდებლისა და სხვა) შეძენა, რემონტი;

თ) **ამოღებულია** (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის - სანაშენე დეკეულის ან/და მაკე უშობელი ფურების შეძენა, როგორც იმპორტის გზით, ასევე ადგილობრივ ბაზარზე. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშების ჩამონათვალსა და შესყიდვის წესს გასაზღვრავს სააგენტო სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან ერთად. მაღალპროდუქტიული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საქართველოში შესყიდვა შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ განსაზღვრული სანაშენე მეურნეობებიდან. სანაშენე მეურნეობების სიას განსაზღვრავს სსიპ - სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

ი) სანაშენე ფრინველის, კურდღლის, ბოცვრის, თევზის, თხისა და ღორის შეძენა (სანაშენე ფრინველის, კურდღლის, ბოცვრის, თხისა და ღორის შეძენა შესაძლებელია იმპორტის გზით, ან ადგილობრივ ბაზარზე მხოლოდ განსაზღვრული სანაშენე

მეურნეობებიდან. სანაშენე მეურნეობების სიას განსაზღვრავს სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი); (16.10.2023 N 1845)

კ) არსებული მრავალწლოვანი კულტურების ბაღებისა და პლანტაციების რემონტი/აღდგენა, კერძოდ: (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

კ.ა) ხილის კურკოვანი და თესლოვანი ჯიშები;

კ.ბ) კაკლოვანი კულტურები;

კ.გ) კენკროვანი კულტურები;

კ.დ) ციტრუსოვნები და სხვა სუბტროპიკული კულტურები;

კ.ე) ჩაი, დაფნა და სხვა ტექნიკური კულტურები;

კ.ვ) მრავალწლოვანი ყვავილები;

კ.ზ) მერქნის მომცემი და სწრაფად მზარდი მცენარეების სახეობები;

ლ) საჩითილეებისა და სანერგეების მოწყობა (გარდა ვაზისა); (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

მ) სარწყავი და სადრენაჟე სისტემების მოწყობა (გარდა ვაზისა); (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ნ) მრავალწლიანი ნარგავების საყრდენი სისტემების (გარდა ვაზისა) ან/და დამცავი ბადეების რემონტი, მოწყობა; (16.10.2023 N 1845)

ო) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტისთვის ღობის რემონტი, მოწყობა (ბოძები, მავთული, ეკალმავთული, მავთულის ბადე, ელექტროღობე) (გარდა ვაზისა); (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

პ) მეცხოველეობისა და მემცენარეობისთვის სხვადასხვა სახის ინვენტარის შეძენა;

ჟ) აუდიტორული დასკვნის საფასური, არა უმეტეს სესხის მოცულობის 1%-ისა, მაგრამ არა უმეტეს 15 000 ლარისა.

რ) ენერგოეფექტური საწარმოები: (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

რ.ა) ენერგოეფექტური ღუმელების წარმოება;

რ.ბ) ენერგოეფექტური ღუმელისთვის საწვავის მწარმოებელი საწარმოები.

ს) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტისთვის მეტეოსადგურის შეძენა. (29.11.2022 N 2189)

8. დაუშვებელია, დაფინანსდეს შემდეგი სახის საქმიანობა:

ა) მიწის შეძენა;

ბ) არსებული სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობების, სათბურებისა და სხვ. შეძენა;

გ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის (ტრაქტორის, კომბაინისა და სხვა), ასევე იმპლემენტების (გუთნის, ფარცხის, სათესის, სასუქის შემტანისა და სხვა) რემონტი;

დ) სატრანსპორტო (გარდა სპეცტექნიკისა და მისაბმელისა, ტექნიკისა და იმპლემენტისა, არასტაციონარულ ტექნოლოგიურ ხაზებთან ინტეგრირებული სატრანსპორტო საშუალებისა), მფრინავი (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატისა (აგროდრონი) შესხურების ფუნქციით და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატისა (აგროდრონი) აგრონომიული დანიშნულების სკანირების განხორციელებისთვის) და მცურავი საშუალებების შესყიდვა, რემონტი; (29.11.2022 N 2189)

ე) მხოლოდ საოფისე ფართის მშენებლობა, რემონტი, აღჭურვა;

ვ) სასოფლო-სამეურნეო საწარმოს წილ(ებ)ის შეძენა.

9. შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალების კომპონენტის ფარგლებში ასევე შესაძლებელია, დაფინანსდეს თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დაფინანსებული საწარმოები.

10. თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დაფინანსებული საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტების (მათ შორის, პარალელური სესხების) მოცულობები, დაფინანსების პროპორციები, მიზნობრიობა (მათ შორის, ისეთი მიზნობრიობა, რომელიც ამ მუხლით აკრძალულია ან არ არის განსაზღვრული) და ტრანშების გაცემის ვადები განისაზღვრება თანადაფინანსების პროექტით.

11. ძირითადი საშუალებებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტით დაფინანსდებიან საწარმოები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებაზე და გამოიყენებენ ადგილობრივ შრომით რესურსებს. დაუშვებელია იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც გათვლილია მხოლოდ იმპორტირებული ნედლეულის გადამამუშავებასა და არაადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე.

12. დასაშვებია სესხის რესტრუქტურირაცია, თუ რესტრუქტურირაციის შედეგად სააგენტოს თანადაფინანსების ჯამური თანხა არ აღემატება სესხის რესტრუქტურირაციის თარიღისათვის გრაფიკით გათვალისწინებულ დარჩენილ თანადაფინანსების ჯამურ თანხას.

13. დასაშვებია 2017 წლის 15 თებერვლამდე გაცემული სესხ(ებ)ის რეფინანსირება, თუ აღნიშნული სესხი გაცემულია შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისათვის კომპონენტის ფარგლებში ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებში მითითებული მიზნობრიობებით. იმ შემთხვევაში, თუ სესხის რეფინანსირების თარიღისთვის ახალი სესხის თანხა არ აღემატება თავდაპირველი სესხის ნარჩენ ძირითად თანხას, ასეთი სესხის რეფინანსირება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეფინანსირების შედეგად არ იზრდება თავდაპირველი სესხის ვადა და სააგენტოს დარჩენილი გადასახდელი თანადაფინანსების ჯამური მოცულობა.

14. დასაშვებია ინდივიდუალური მეწარმის მიერ იმ სესხის რეფინანსირება, რომელიც აღებული იყო ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციამდე.

15. დასაშვებია პარალელური სესხების გაცემა, თუ პარალელური სესხების ჯამი არ აღემატება შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისთვის კომპონენტში ერთ

ბენეფიციარზე განსაზღვრული სესხის მაქსიმალურ ლიმიტს და თითოეული პარალელური სესხის თანხა არ არის მინიმალურ სალიმიტო თანხაზე ნაკლები.

16. შეღავათიანი აგროკრედიტის თანხა ძირითადი საშუალებებისთვის განისაზღვრება 20 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით. სესხის ვადის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და კრედიტის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

17. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი: (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 17%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 16%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა.

18. სააგენტოს მონაწილეობა: (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ა) სააგენტოს მიერ არა უმეტეს 48 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება მოხდება მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 50 თვის განმავლობაში;

ბ) ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრული მიზნობრიობების ფარგლებში გაცემული ყოველი ახალი (არარეფინანსირებული/არარესტრუქტურიზებული) სესხის ძირითადი თანხის მთლიანი მოცულობის არა უმეტეს 50%-ის მეორადი უზრუნველყოფა მოხდება სააგენტოს მიერ სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 50 თვის განმავლობაში, იმ შემთხვევაში, თუ სესხის პირველად უზრუნველყოფას წარმოადგენს მხოლოდ ის ქონება, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ფინანსდება სესხის თანხით. მეორადი უზრუნველყოფა საფინანსო ინსტიტუტზე გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ მსესხებლის მიერ საკუთარი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საფინანსო ინსტიტუტი მოახდენს პირველადი უზრუნველყოფის რეალიზაციას და შედეგად ვერ ამოიღებს ნარჩენი ძირითადი თანხის 100%-ს. სააგენტო უზრუნველყოფს სხვაობის შევსებას არა უმეტეს პირველადი უზრუნველყოფის რეალიზაციამდე არსებული ძირითადი თანხის 50%-ის ოდენობით. მეორადი უზრუნველყოფა საფინანსო ინსტიტუტზე არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სესხზე უკვე მოქმედებს რომელიმე პროგრამის/პროექტის საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი. *(2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

19. კრედიტის გაცემისთვის საფინანსო ინსტიტუტის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს:

- ა) 50 000 ლარამდე – 0.5%-ს;
- ბ) 50 001 ლარი ან მეტი – 0.2%-ს.

20. სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, მსესხებელს საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არ წარმოეშობა წინსწრებით დაფარვის საკომისიო/ჯარიმა.

21. გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტი უფლებამოსილია, მხოლოდ გადასახდელ ძირითად თანხაზე დაარიცხოს მსესხებელს ჯარიმა. ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

22. სხვა საფინანსო ინსტიტუტის მიერ სესხის რეფინანსირების შემთხვევაში, იმოქმედებს არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებული საკომისიოს განაკვეთი.

23. სესხის დაფარვის გრაფიკის განსაზღვრა ხდება ბენეფიციარისა და კრედიტის გამცემი საფინანსო ინსტიტუტის შეთანხმების საფუძველზე.

24. სააგენტო უფლებამოსილია, განახორციელოს მონიტორინგი კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე პროექტის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე. მონიტორინგის განხორციელების დრო და ფორმა განისაზღვრება სააგენტოს მიერ. პროექტით განსაზღვრული პირობების ან/და მიზნობრიობის დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო იმოქმედებს საფინანსო ინსტიტუტებსა და ბენეფიციარებთან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული და სააგენტოში მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ამასთანავე, ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა იმ რეფინანსირებული სესხისა, რომლითაც მოხდა ძველი სესხის დაფარვა და არ მომხდარა ახალი მიზნობრიობის დამატება) თითოეული ტრანშის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის

განმავლობაში უზრუნველყოს ტრანშის სრულად გახარჯვა (სესხის თანხით განხორციელებული ნებისმიერი შესყიდვა (გარდა მომსახურებისა) უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/ იურიდიული პირისაგან ან იმპორტის გზით) და სესხის მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა. აუდიტორული დასკვნა საფინანსო ინსტიტუტს უნდა წარედგინოს სესხის ან მისი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 7 (შვიდი) თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო შეუძრებებს ბენეფიციარს თანადაფინანსებას, ხოლო თუ 12 (თორმეტი) თვის ვადაში არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტოს მხრიდან წყდება თანადაფინანსება და მეორადი უზრუნველყოფა. (27.03.2024 N 423)

24¹. კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე სააგენტო უფლებამოსილია, განიხილოს ამ მუხლის 24-ე პუნქტით განსაზღვრული ვადების ცვლილების საკითხი. (28.09.2021 N1723 გავრცელდეს ამავე განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

25. კომპონენტის ან ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია პარალელური სესხები. სხვადასხვა ვალუტაში მიმდინარე სესხების არსებობის შემთხვევაში, ახალი სესხის დამტკიცების მომენტისათვის ყველა სესხის ჯამური მიმდინარე ნაშთი ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის გათვალისწინებით არ უნდა აღემატებოდეს 1 500 000 ლარს. ამავდროულად, კომპონენტისა და ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხები ერთმანეთის პარალელურ კრედიტებად არ განიხილება.

26. სააგენტოს თანადაფინანსება და მეორადი უზრუნველყოფა შეწყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) სესხის სრულად დაფარვა;

ბ) მსესხებლის მიერ თანადაფინანსების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და პროექტის სხვა პირობების დარღვევა. ამასთან, ვადაგადაცილების დროს თანადაფინანსება შეჩერდება, ხოლო საფინანსო ინსტიტუტის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების შემთხვევაში, სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსება წყდება, ხოლო მეორადი უზრუნველყოფა რჩება ძალაში;

გ) სესხის გრაფიკით გათვალისწინებული თანადაფინანსების გადახდის ბოლო თარიღიდან 2 თვის გასვლის შემდგომ სააგენტოს მხრიდან თანადაფინანსება წყდება, ხოლო მეორადი უზრუნველყოფა რჩება ძალაში; (27.03.2024 N 423)

დ) მსესხებლის მიერ სესხის მიზნობრიობის დარღვევის შემთხვევაში. ამასთან, მიზნობრიობის დარღვევად არ ჩაითვლება, თუ ძირითადი საშუალებებისთვის აღებული სესხის თანხის ათვისება განხორციელდა ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტების მიზნობრიობათა ჩამონათვალის ფარგლებში;

ე) პროექტის ფარგლებში გაცემული სესხის პროექტის შეუსაბამოდ რესტრუქტურირაციის ან რეფინანსირების შემთხვევაში ან/და საფინანსო ინსტიტუტსა და მსესხებელს შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შეუსაბამობა სააგენტოსა და საფინანსო ინსტიტუტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობებთან,

რომელთა გამოსწორება შეუძლებელია აღნიშნულზე საფინანსო ინსტიტუტის ინფორმირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

27. სურვილის შემთხვევაში, პროექტის ფარგლებში დაფინანსებულ ბენეფიციარებს გაეწევთ ტექნიკური დახმარება. ტექნიკური დახმარებისა და თანადაფინანსების პირობებს, ასევე თანადაფინანსების გაცემის წესს შეიმუშავებს სააგენტო.

28. დასაშვებია მხოლოდ იმპორტის გზით შეძენილი აქტივებისთვის მომსახურე ბანკში გახსნილი დოკუმენტური აკრედიტივის, სესხის თანხით დაფარვა. (15.08.2022 N 1477)

29. ძირითადი საშუალებებისა და მისი ქვეკომპონენტების ფარგლებში გაცემული სესხების შემთხვევაში, თუ ერთ სესხად არის გაცემული აღნიშნული კომპონენტის/ქვეკომპონენტის მიზნობრიობებისთვის განკუთვნილი თანხები, დასაშვებია მათი გამიჯვნა, ახალი სესხის/სესხების გაცემით, თუ ახალი სესხის თანხა არ იქნება კომპონენტით/ქვეკომპონენტით განსაზღვრულ მინიმალურ თანხაზე ნაკლები. (15.08.2022 N 1477)

30. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ვრცელდება „შეღვათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის“ კომპონენტის ყველა ქვეკომპონენტზე, თუ შესაბამისი ქვეკომპონენტით არ არის დადგენილი განსხვავებული პირობები. (16.10.2023 N 1845 გავრცელდეს პროექტის ფარგლებში გაცემულ შესაბამისი მიზნობრიობის ყველა სესხზე)

31. თუ ბენეფიციარს შეუწყდა – თანადაფინანსება განკარგულებით განსაზღვრულ ვადაში აუდიტორული დასკვნის წარმოდგენლობის გამო, სააგენტო უფლებამოსილია, აღუდგინოს ბენეფიციარს თანადაფინანსება იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი აუდიტორული დასკვნით დაადასტურებს სესხის მიზნობრივ ხარჯვას. (16.10.2023 N 1845 გავრცელდეს პროექტის ფარგლებში გაცემულ შესაბამისი მიზნობრიობის ყველა სესხზე)

მუხლი 8. ამოღებულია (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

მუხლი 8¹. კომპონენტის - „შეღვათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის“ ქვეკომპონენტი – „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის“ (სათაური 12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღვათიანი აგროკრედიტი გაიცემა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკისა და იმპლემენტის ან/და ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკისა და იმპლემენტების შემდგომში - ტექნიკა) შესასყიდად (ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკისა და იმპლემენტების შესაბამისობა უნდა დასტურდებოდეს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით), რომელთა შესყიდვა შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

2. ქვეკომპონენტის ფარგლებში იმპლემენტის შესყიდვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს რეგისტრირებულ საკუთრებაში გააჩნია შესაბამისი ტექნიკა

(დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო დოკუმენტაციით) ან გაცემული სესხის მიზნობრიობას წარმოადგენს შესაბამისი ტექნიკ(ებ)ისა და იმპლემენტ(ებ)ის ერთობლივი შესყიდვა. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში ტექნიკის შესყიდვა შესაძლებელია ადგილობრივ ბაზარზე (საქართველოში რეგისტრირებული ინდემწარმისგან ან/და იურიდიული პირისგან) ან იმპორტის გზით. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

4. შესასყიდი ტექნიკა უნდა იყოს ახალი (გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ (ს/ნ: 206348736) ან/და შპს „აგროსერვის ცენტრისგან“ (ს/ნ: 406321065) შესასყიდი ტექნიკისა), კერძოდ, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ორ პირობას: (31.08.2022 N 1591 გავრცელდეს პროექტის ფარგლებში გაცემულ შესაბამისი მიზნობრიობის ყველა სესხზე)

ა) ტექნიკის შესყიდვის მომენტში უნდა მოქმედებდეს ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული გარანტია (გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ (ს/ნ: 206348736) ან/და შპს „აგროსერვის ცენტრისგან“ (ს/ნ: 406321065) შესაძენი ტექნიკისა);

ბ) ტექნიკა წარმოებული უნდა იყოს შესყიდვამდე არა უმეტეს 3 კალენდარული წლით ადრე (გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ (ს/ნ: 206348736) ან/და შპს „აგროსერვის ცენტრისგან“ (ს/ნ: 406321065) შესაძენი ტექნიკისა).

5. ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს (7000 ლარიდან 75 000 ლარამდე);

ბ) საქართველოში რეგისტრირებულ ინდემწარმეებს ან იურიდიულ პირებს (ქვეკომპონენტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ნებისმიერი თანხის შემთხვევაში).

5¹. იმისთვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს ქვეკომპონენტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებსა და წინამდებარე პროექტის მოთხოვნებს. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

6. დაუშვებელია, ბენეფიციარმა მოახდინოს ქვეკომპონენტის ფარგლებში შესყიდული ტექნიკის გასხვისება ან გატანა საქართველოს საზღვრის გარეთ სააგენტოს მიერ სესხზე საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების პერიოდის განმავლობაში. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

6¹. ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკის შესყიდვის მიზნით, საფინანსო ინსტიტუტების მიერ სესხები გაიცემა 2021 წლის მაისიდან იმ იურიდიულ პირებსა და ინდემწარმეებზე, რომლებიც რეგისტრირებულები არიან ახმეტის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, თელავის, თიანეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის

მუნიციპალიტეტებში. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

7. ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრედიტი განისაზღვრება 7 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით.

8. ქვეკომპონენტის ფარგლებში სააგენტო უზრუნველყოფს სესხის არა უმეტეს 48 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას სესხის გაცემიდან არა უმეტეს მომდევნო 50 თვის განმავლობაში, რომელიც მოხდება ბენეფიციარის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 8%-ის ოდენობით. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

9. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი: (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
7 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 17%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 16%-ისა;

ბ) მცურავი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
7 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა.

9¹. ბენეფიციარი ვალდებულია, ბანკის მიერ სესხის გაცემიდან ტექნიკის შესყიდვა/რეგისტრაცია განახორციელოს 6 თვის ვადაში. ამასთანავე, ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა რეფინანსირებული სესხებისა) გაცემიდან 7 (შვიდი) თვის განმავლობაში სესხის ხარჯვის მიზნობრიობის დასადასტურებლად საფინანსო

ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა, თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო შეუჩერებს ბენეფიციარს თანადაფინანსებას, ხოლო 12 თვის გასვლის შემდეგ სააგენტოს მხრიდან წყდება თანადაფინანსება. აღნიშნულ შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, ბენეფიციარს დააკისროს პირგასამტეხლო, რომლის ოდენობა შეადგენს სააგენტოს მიერ სესხზე გადახდილ თანადაფინანსების სრულ თანხას. ამასთანავე, ბენეფიციარს შეუძლია, სესხის თანხა გამოიყენოს აუდიტორული დასკვნის საფასურის გადასახდელად, მაგრამ არა უმეტეს სესხის მოცულობის 1%-ისა და არა უმეტეს 15 000 ლარისა. (16.10.2023 N 1845)

9². კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე სააგენტო უფლებამოსილია, განიხილოს ამ მუხლის 9¹ პუნქტით განსაზღვრული ვადების ცვლილების საკითხი. (28.09.2021 N1723 გავრცელდეს ამავე განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

10. შეღავათიანი აგროკრედიტის პირობები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება პროექტის მე-7 მუხლით დადგენილი საერთო პირობებით.

მუხლი 8². „შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისათვის“ კომპონენტის ქვეკომპონენტი - „ახალი მრავალწლოვანი კულტურების გაშენებისათვის“ (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. ქვეკომპონენტი ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ ახალი მრავალწლიანი კულტურების ბაღების, ზვრების, პლანტაციების გაშენებისათვის გამოყოფილ სესხებზე დაწესებული საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსებას პროექტის პირობების შესაბამისად.

2. ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირს – 20 000 ლარიდან 75 000 ლარამდე სესხების შემთხვევაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროკრედიტი განისაზღვრება 20 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით.

4. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს ქვეკომპონენტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებსა და ამ პროექტის მოთხოვნებს. ამასთანავე, მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმება ახალი მრავალწლიანი ბაღის გაშენება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში (სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივის შემთხვევაში, დაშვებულია სესხის თანხის ინვესტირება განხორციელდეს კოოპერატივის წევრთა/მეპაიეთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე),

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრის (თანამესაკუთრების) თანხმობა სესხის თანადაფინანსების ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის თანადაფინანსების ვადაზე ნაკლები). (27.03.2024 N 423)

5. ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა იმ რეფინანსირებული სესხისა, რომლითაც მოხდა ძველი სესხის დაფარვა და არ მომხდარა ახალი მიზნობრიობის დამატება) თითოეული ტრანშის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს ტრანშის სრულად გახარჯვა (სესხის თანხით განხორციელებული ნებისმიერი შესყიდვა (გარდა მომსახურებისა) უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირისაგან ან იმპორტის გზით) და სესხის მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა სესხის ან მისი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 7 (შვიდი) თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო შეუჩერებს ბენეფიციარს თანადაფინანსებას, ხოლო 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდეგ სააგენტოს მხრიდან წყდება თანადაფინანსება და მეორადი უზრუნველყოფა. (27.03.2024 N 423)

5¹. კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე სააგენტო უფლებამოსილია, განიხილოს ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ვადების ცვლილების საკითხი. (28.09.2021 N1723 გავრცელდეს ამავე განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

6. ქვეკომპონენტის ფარგლებში შესაძლებელია შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემა მხოლოდ ახალი ბაღების გაშენებისთვის, შემდეგი მიზნობრიობებით: (27.03.2024 N 423)

ა) ახალი მრავალწლოვანი კულტურების ბაღებისა და პლანტაციების გაშენება (ნერგების შესყიდვა დასაშვებია მხოლოდ „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N 56 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამით „დანერგე მომავალი“ განსაზღვრული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან ან/და იმპორტის გზით), კერძოდ:

- ა.ა) ხილის კურკოვანი და/ან თესლოვანი ჯიშების გაშენება;
- ა.ბ) კაკლოვანი კულტურების გაშენება;
- ა.გ) კენკროვანი კულტურების გაშენება;
- ა.დ) ციტრუსოვნების და/ან სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენება;
- ა.ე) ჩაის, დაფნის და/ან სხვა ტექნიკური კულტურების გაშენება;
- ა.ვ) მრავალწლოვანი ყვავილების გაშენება;
- ა.ზ) მერქნის მომცემი და სწრაფადმზარდი მცენარეების სახეობების გაშენება;
- ა.თ) სარწყავი და/ან სადრენაჟე სისტემების მოწყობა (გარდა ვაზისა);
- ა.ი) მრავალწლოვანი ნარგავების საყრდენი სისტემების (მავთული, ბოძების) მოწყობა (გარდა ვაზისა);

ა.კ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტისათვის ღობის მოწყობა (ბოძები, მავთული, ეკალმავთული, მავთულის ბადე, ელექტროღობე), სეტყვის დამცავი სისტემების (ბადეების, საყრდენის სისტემის) რემონტი, მოწყობა, ასევე წყლის ჭაბურღილის მოწყობა, წყლის, ელენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდების წყაროებსა და კანალიზაციაზე მიერთება, განახლებადი ენერგიის წყაროების შეძენა, მონტაჟი, მოწყობა (გარდა ვაზისა);

ა.ლ) მემცენარეობისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა (გარდა ვაზისა);

ა.მ) ქვეკომპონენტის ფარგლებში გაშენებული ახალი მრავალწლოვანი კულტურის ბაღების კომერციულ მსხმოიარობამდე მიყვანისათვის საჭირო ყველა ხარჯის, მათ შორის, საოპერაციო ხარჯის დაფინანსება;

ა.ნ) აუდიტორული დასკვნის საფასური, არაუმეტეს სესხის მოცულობის 1%-ისა, მაგრამ არაუმეტეს 15 000 ლარისა;

ა.ო) დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობა (არაუმეტეს 20 000 ლარისა);

ა.პ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატი (აგროდრონი), შესხურების ფუნქციით და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატი (აგროდრონი) აგრონომიული დანიშნულების სკანირების განხორციელებისთვის და მეტეოსადგურის შეძენა;

7. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი: (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 17%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 16%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 1 500 000 ლარის	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ

ჩათვლით	რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა.
---------	---

8. სააგენტოს მონაწილეობა:

სააგენტოს მიერ არა უმეტეს 66 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება მოხდება მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 68 თვის განმავლობაში.

9. ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხ(ებ)ის ყველა ის პირობა, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მუხლით, რეგულირდება მე-7 მუხლით დადგენილი საერთო პირობებით.

მუხლი 83. კომპონენტის — „შეღვათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისათვის“ ქვეკომპონენტი – „სასურსათო და ენერგოეფექტური მრეწველობის დაფინანსებისთვის“ (სათაური 12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა ახალი საწარმოების შექმნისა და არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების დაფინანსებისათვის.

2. ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობა არ უნდა იყოს 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 10,000,000 (ათი მილიონი) ლარს. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

3. საფინანსო ინსტიტუტის მიერ დამტკიცებულ სესხზე, რომელიც აკმაყოფილებს ამ ქვეკომპონენტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ სესხის მთლიანი მოცულობა აღემატება ამავე ქვეკომპონენტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დგინდება საფინანსო ინსტიტუტის მიერ სესხზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის მოცულობა.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ პროგრამის ბენეფიციარისთვის დამტკიცებულ სესხზე განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეშვეობით საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად.

5. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხ(ებ)ი გაიცემა შემდეგი მიზნობრიობით:

ა) პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება:

ა.ა) ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების, მწვანეხეობისა და სოკოს სასათბურე მეურნეობა;

ა.ბ) ამოღებულია (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

ა.გ) მეღორეობის ფერმა;

ა.დ) მეფრინველეობის ფერმა;

- ა.ე) ძვირფასბეჭვიანი ცხოველების ფერმა;
- ა.ვ) თევზის წარმოება;
- ა.ზ) მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება;
- ა.თ) საჩითილეები და სანერგეები;

ა.ი) მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბაღები, პლანტაციები და სხვა (ნერგების შესყიდვა დასაშვებია მხოლოდ „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის N56 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო პროგრამით „დანერგე მომავალი“ განსაზღვრული ადგილობრივი კვალიფიციური სანერგე მეურნეობებიდან ან/და იმპორტის გზით); (27.03.2024 N 423)

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება:

- ბ.ა) ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, სოკოს, ციტრუსის გადამამუშავება;
- ბ.ბ) კაკლის, თხილის, მიწის თხილისა და სხვა კაკლოვნების გადამამუშავება;
- ბ.გ) მატყლის, ტყავის გადამამუშავება;
- ბ.დ) დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამამუშავება;

ბ.ე) ხორცის, თევზისა და რძის გადამამუშავება; (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

- ბ.ვ) მცენარეული ცხიმებისა (ზეთის, მარგარინის, ერბოს) და ხალვის წარმოება;
- ბ.ზ) ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;
- ბ.თ) სასაკლაოს მოწყობა;

ბ.ი) მეფუტკრეობის პროდუქციის გადამამუშავება;

ბ.კ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზების საკვების წარმოება;

ბ.ლ) ამოღებულია (27.03.2024 N 423)

ბ.მ) ამოღებულია (27.03.2024 N 423)

ბ.ნ) ყურძნის გადამამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება (ამ მიზნობრიობის სესხის გაცემა დასაშვებია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით); (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ბ.ნ.ა) მსესხებელი ვალდებულია, სესხის პირველი ტრანშის მიღებიდან მომდევნო 5 წლის განმავლობაში, ყოველი წლის რთვლის სეზონზე, გადაამუშაოს ბოლო 3 წლის რთვლის სეზონებს შორის გადამამუშავებული ყველაზე მეტი მოცულობის ყურძენზე დამატებით 1 ტონა ყურძენი, ყოველ გაცემულ 5 000 ლარზე გადაანგარიშებით;

ბ.ნ.ბ) თუ მსესხებელს არ განუხორციელებია ყურძნის გადამამუშავება უკანასკნელი 3 წლის რთვლის სეზონებზე, სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 5 წლის განმავლობაში ვალდებულია, გადაამუშაოს 1 ტონა ყურძენი ყოველ გაცემულ 5 000 ლარზე გადაანგარიშებით;

ბ.ნ.გ) ვალდებულებების შესრულების პირველ წლად განისაზღვროს 2020 წლის რთვლის სეზონი, ამასთან, ამ მიზნობრიობის სესხის გაცემა დასაშვებია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით;

გ) ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება:

გ.ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები;

გ.ბ) მარცვლეულის საშრობები;

გ.გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობები;

დ) ქვეკომპონენტის ფარგლებში მიღებული სესხ(ებ)ით შესაძლებელია, დაფინანსდეს შემდეგი სახის საქმიანობა:

დ.ა) არსებული შენობების რემონტი და მოწყობა;

დ.ბ) ახალი შენობების აშენება და მოწყობა;

დ.გ) ტექნოლოგიური ხაზების, კლიმატის შემქმნელი ტექნიკისა და აპარატურის, გაყინვის დანადგარების, დენის გენერატორის, სარწყავი სისტემების, საწველი აპარატურის, საკვების მოსამზადებელი დანადგარებისა და სხვათა შეძენა, მონტაჟი;

დ.დ) წყლის, ელენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდების წყაროებსა და კანალიზაციაზე მიერთება;

დ.ე) სამეურნეო ობიექტების შემოღობვა, დაცვის სისტემების მოწყობა;

დ.ვ) შესანახი კამერების, სტელაჟების, ცისტერნებისა და შენახვის სხვა ტექნოლოგიური აღჭურვილობების შეძენა, მონტაჟი;

დ.ზ) საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სპეცტექნიკისა და მისაბმელების (მტვირთავის, ნაკელის გამტანის, საკვების შემრევ-მიმწოდებლისა და სხვა) შეძენა;

დ.თ) სანაშენე და მაღალპროდუქტიული პირუტყვის (გარდა მსხვილფეხა პირუტყვისა), ფრინველის, თევზის, ძვირფასბეწვიანი ცხოველების შეძენა; (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

დ.ი) თევზის ავზებისა და ტბორების აშენება და მოწყობა;

დ.კ) მრავალწლიანი კულტურების გაშენება, მოვლა-მოყვანა და აღდგენა, მათ შორის: (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

დ.კ.ა) ხილის კურკოვანი და თესლოვანი ჯიშები;

დ.კ.ბ) კაკლოვანი კულტურები;

დ.კ.გ) კენკროვანი კულტურები;

დ.კ.დ) ციტრუსოვნები და სხვა სუბტროპიკული კულტურები;

დ.კ.ე) ჩაი, დაფნა და სხვა ტექნიკური კულტურები;

დ.კ.ვ) მერქნის მომცემი და სწრაფადმზარდი მცენარეების სახეობები;

დ.ლ) ენერგოეფექტური საწარმოები: (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

დ.ლ.ა) ენერგოეფექტური ღუმელების წარმოება;

დ.ლ.ბ) ენერგოეფექტური ღუმელისთვის საწვავის მწარმოებელი საწარმოები.

დ.მ) განახლებადი ენერგიის წყაროების შეძენა, მონტაჟი, მოწყობა. (28.06.2021N 1082)

დ.ნ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტისთვის მეტეოსადგურის შეძენა. (29.11.2022 N 2189)

6. ქვეკომპონენტის ფარგლებში მიღებული სესხ(ებ)ით დაუშვებელია, დაფინანსდეს შემდეგი სახის საქმიანობა:

ა) მიწის შეძენა;

ბ) არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობების, სათბურებისა და სხვ. შეძენა;

გ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორის, კომბაინისა და სხვა), ასევე მისაბმელების (გუთნის, ფარცხის, სათესის, სასუქის შემტანისა და სხვა) შეძენა, რემონტი;

დ) სატრანსპორტო (გარდა სპეცტექნიკისა და მისაბმელისა, ტექნიკისა და იმპლემენტისა, არასტაციონარულ ტექნოლოგიურ ხაზებთან ინტეგრირებული სატრანსპორტო საშუალებისა), მფრინავი (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატისა (აგროდრონი) შესხურების ფუნქციით და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატისა (აგროდრონი) აგრონომიული დანიშნულების სკანირების განხორციელებისთვის) და მცურავი საშუალებების შესყიდვა, რემონტი; (29.11.2022 N 2189)

ე) მხოლოდ საოფისე ფართის მშენებლობა, რემონტი, აღჭურვა.

7. პროგრამის ფარგლებში, კომერციული ბანკის მიერ სესხი გაიცემა:

ა) ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად – სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობის არანაკლებ 80 პროცენტისა;

ბ) საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად – სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობის არა უმეტეს 20 პროცენტისა.

8. ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარიულ და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს;

ბ) საწარმოს შენობა-ნაგებობებსა და მიმდებარე ტერიტორიას უნდა ჰქონდეს ესთეტიკური გარეგანი სახე.

9. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარზე გაცემული სესხის სარგებლობისათვის განსაზღვრული წლიური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარიდან 3,000,000 (სამი მილიონი) ლარამდე – არა უმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5 (ხუთი) პროცენტისა წლიურად;

ბ) 3,000,000 (სამი მილიონი) ლარიდან 10,000,000 (ათი მილიონი) ლარამდე – არა უმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 4 (ოთხი) პროცენტისა წლიურად. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

10. სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არა უმეტეს 36 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 11%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა

უმეტეს 38 თვის განმავლობაში. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

11. ქვეკომპონენტის ფარგლებში საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული სესხი უზრუნველყოფილი იქნება სააგენტოს მიერ სესხის ძირითადი თანხის 50%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 2,500,000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტი გაიცემა არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნული უზრუნველყოფა წარმოადგენს მეორად უზრუნველყოფას და ძალაშია სესხის გაცემიდან არა უმეტეს მომდევნო 38 თვის განმავლობაში. მეორადი უზრუნველყოფის გამოყენების უფლება საფინანსო ინსტიტუტს ექნება მხოლოდ სესხის პირველადი უზრუნველყოფის სრულად რეალიზაციის შემდგომ, საფინანსო ინსტიტუტის მიერ სააგენტოსთვის შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ პირველადი უზრუნველყოფის რეალიზაციის შედეგად საფინანსო ინსტიტუტი ვერ მიიღებს პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის 100%-ს, სააგენტო უზრუნველყოფს სხვაობის შევსებას არა უმეტეს სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის 50%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 2,500,000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით. მეორადი უზრუნველყოფა საფინანსო ინსტიტუტზე არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სესხზე უკვე მოქმედებს რომელიმე პროგრამის/პროექტის საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

12. სესხის გამცემმა, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, პირველ რიგში უნდა მოითხოვოს ახალი საწარმოს მიერ შექმნილი და/ან შეძენილი ნებისმიერი აქტივი (ძირითადი საშუალებები, სასაქონლო მარაგები და სხვა) და მხოლოდ ამის შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში – დამატებითი უზრუნველყოფა.

13. საფინანსო ინსტიტუტის მიერ ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხის გაცემის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს 0.2%-ს.

14. ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ ამავე ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის რეფინანსირება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იზრდება დასარეფინანსირებელ სესხზე დარჩენილი თანადაფინანსების თანხა, ძირითადი თანხა და ვადა.

14¹. ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია მხოლოდ იმპორტის გზით შეძენილი აქტივებისთვის მომსახურე ბანკში გახსნილი დოკუმენტური აკრედიტივის, სესხის თანხით დაფარვა. (15.08.2022 N 1477)

15. ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია პარალელური სესხების გაცემა, თუ პარალელური სესხების ჯამი არ აღემატება ქვეკომპონენტში ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრული სესხის მაქსიმალურ ლიმიტს და თითოეული პარალელური სესხის თანხა არ არის მინიმალურ სალიმიტო თანხაზე ნაკლები (შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებების კომპონენტის ქვეკომპონენტის სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისა და შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტის სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისთვის გაცემული სესხებისა და ლიზინგების ჯამი არ უნდა

აღემატებოდეს 10 000 000 ლარს). (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

16. სესხის რეფინანსირების შემთხვევაში, იმოქმედებს არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებული საკომისიო განაკვეთი.

17. ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია გაცემული სესხის რესტრუქტურირაცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იზრდება თავდაპირველად დამტკიცებულ სესხზე სააგენტოს მიერ თანადაფინანსების სახით გადასახდელი ჯამური თანხა, რომელიც გათვალისწინებული იყო პირველადი სესხის პირობებით.

18. სესხის ვადაზე ადრე დაფარვის შემთხვევაში, ბენეფიციარს საფინანსო ინსტიტუტის მიმართ არ წარმოეშობა წინსწრებით დაფარვის საკომისიო ან ჯარიმა (აღნიშნული არ ვრცელდება EBRD-ის მიერ გამოყოფილი ფინანსური რესურსით გაცემულ კრედიტებზე). (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

19. სესხის გადახდის გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტი უფლებამოსილია, ბენეფიციარს დაარიცხოს ჯარიმა მხოლოდ გადასახდელ ძირითად თანხაზე. ასეთი ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს ვადაგადაცილებული ძირითადი თანხის 0.1%-ს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

20. სააგენტო მონიტორინგს უწევს ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების შესრულებას და ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხების მიზნობრივ ხარჯვას. მონიტორინგის განხორციელების დრო და ფორმა განისაზღვრება სააგენტოს მიერ. პროექტით განსაზღვრული პირობების დარღვევის დადასტურების შემთხვევაში, სააგენტო იმოქმედებს საფინანსო ინსტიტუტსა და ბენეფიციარებთან დადებული ხელშეკრულებებისა და სააგენტოში მოქმედი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ამასთანავე, ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა რეფინანსირებული სესხებისა) თითოეული ტრანშის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს ტრანშის სრულად გახარჯვა (სესხის თანხით განხორციელებული ნებისმიერი შესყიდვა (გარდა მომსახურებისა) უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/ იურიდიული პირისაგან ან იმპორტის გზით) და სესხის მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა. აუდიტორული დასკვნა საფინანსო ინსტიტუტს უნდა წარედგინოს სესხის ან მისი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 7 (შვიდი) თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო შეუჩერებს ბენეფიციარს თანადაფინანსებას, ხოლო თუ 12 (თორმეტი) თვის ვადაში არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტოს მხრიდან წყდება თანადაფინანსება და მეორადი უზრუნველყოფა (ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოს შემთხვევაში, მსესხებელმა არაუგვიანეს ყოველი წლის 15 დეკემბრისა სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოდან ცნობა შესაბამისი რაოდენობის ყურძნის შესყიდვის შესახებ). (27.03.2024 N 423)

20¹. კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე სააგენტო უფლებამოსილია, განიხილოს ამ მუხლის მე-20 პუნქტით განსაზღვრული ვადების ცვლილების საკითხი. (28.09.2021 N1723 გავრცელდეს ამავე განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

21. სააგენტოს მიერ საპროცენტო სარგებლის თანადაფინანსება წყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) სესხის სრულად დაფარვის ან სესხის გაცემიდან 38 თვის გასვლის შემდეგ; (27.03.2024 N 423)

ბ) ბენეფიციარის მიერ შესაბამის საფინანსო ინსტიტუტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა, კერძოდ, ვადაგადაცილების დროს სააგენტოს მიერ თანადაფინანსება შეჩერდება, ხოლო საფინანსო ინსტიტუტის მიერ სააღსრულებო ფურცლის მიღების ან უზრუნველყოფის საგნის გადაცემის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსება წყდება;

გ) ამ კომპონენტით დადგენილი პირობებით, სააგენტოს, საფინანსო ინსტიტუტისა და ბენეფიციარის მიერ ამავე ქვეკომპონენტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

დ) ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული კრედიტის განსაზღვრული პირობების შეუსაბამოდ რესტრუქტურიზაცია, რეფინანსირება;

ე) საფინანსო ინსტიტუტის მიერ გაცემული სესხის პირობების დარღვევა. ასეთ შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტს ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა. ამასთან, სააგენტო დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად;

ვ) ბენეფიციარის მიერ ვალდებულებების მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 8⁴. კომპონენტის – „შელავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისათვის“ ქვეკომპონენტი „მერძეული, მეხორცული, კომბინირებული მიმართულებისა და სანაშენე ფერმის დაფინანსებისთვის“ (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა მერძეული ან/და მეხორცული ან/და კომბინირებული მიმართულების ან/და სანაშენე ფერმის დაფინანსებისთვის.

2. ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობა არ უნდა იყოს 20 000 (ოცი ათასი) ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 10,000,000 (ათი მილიონი) ლარს. (4.03.2025 N 388)

4. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს ქვეკომპონენტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის

წინაპირობებსა და ამ პროექტის მოთხოვნებს. ამასთანავე, მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმება მიზნობრიობის განხორციელება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრის (თანამესაკუთრების) თანხმობა სესხის თანადაფინანსების ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის თანადაფინანსების ვადაზე ნაკლები). (27.03.2024 N 423)

5. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) მერძეული, მეხორცული და კომბინირებული მიმართულების (ჯიშების) შემთხვევაში, შეიძინოს არანაკლებ 25 უშობელი (მაკე) ან იყოლიოს არანაკლებ 25 ფური, სანაშენე ფერმის შემთხვევაში, შეიძინოს არანაკლებ 50 უშობელი (მაკე) ან იყოლიოს არანაკლებ 50 ფური;

ბ) შეიძინოს მხოლოდ სსიპ-სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ რეკომენდებული ჯიშების მსხვილფეხა პირუტყვი (რომელსაც უნდა გააჩნდეს შესაბამისი პასპორტი), მსხვილფეხა პირუტყვის შემენა უნდა განხორციელდეს სსიპ-სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ სანაშენე სტატუსის მქონე ფერმებიდან ან/და იმპორტის გზით;

გ) სესხზე თანადაფინანსების მოქმედების პერიოდში შეინარჩუნოს სესხით შეძენილი და სესხის აღებამდე არსებული ფურების ჯამური სულადობა (უშობლის/ფურის დაკვლის ან დაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარმა თავად უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ჯიშებით ჩანაცვლება სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში);

დ) უზრუნველყოს ფერმის აშენება/რეკონსტრუქცია/აღჭურვა და შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც გულისხმობს ფერმაში საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის საჭირო დანადგარ-მოწყობილობებით აღჭურვას, ასევე ფერმისა და სხვა დამატებითი კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რომელსაც დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ე) უზრუნველყოს სესხის თანადაფინანსების მოქმედების პერიოდში მეხორცული მიმართულების შემთხვევაში – ერთ სულზე არანაკლებ 1 ჰა საძოვრის ან/და არანაკლებ 0,5 ჰა სახნავის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებობა; (27.03.2024 N 423)

ვ) უზრუნველყოს ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვა, მათ შორის, ნაკელის უტილიზაციის სისტემის მოწყობა;

ზ) უზრუნველყოს ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, წარმოების ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების გათვალისწინება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) 50 ფურამდე ფერმის შემთხვევაში, სავალდებულოა მხოლოდ ჯიშური მიკვლევადობის სისტემის დანერგვა, ამასთან, 3 წლის მანძილზე ჯიშური გაუმჯობესების უზრუნველყოფა (სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რეკომენდაციების საფუძველზე);

ი) 50 და მეტი ფურის ფერმის შემთხვევაში, სავალდებულოა, დანერგოს მართვის ელექტრონული სისტემა;

კ) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტიდან რეკომენდაციის აღება ფერმის განთავსების ადგილის შესახებ, დასახლებული პუნქტისგან დაშორების გათვალისწინებით;

ლ) უზრუნველყოს კუთვნილი მსხვილფეხა ცხოველების დარეგისტრირება საქართველოს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS).

6. სესხის ოდენობა ფერმის მოსაწყობად და მსხვილფეხა პირუტყვის შესაძენად, ერთ სულ მსხვილფეხა პირუტყვზე გადაანგარიშებით, ჯამურად შეადგენს არა უმეტეს 25,000 ლარს, მათ შორის, მსხვილფეხა პირუტყვის შესაძენად არა უმეტეს 8000 ლარისა (შესაბამისი ჯიშის კუროს შეძენა დასაშვებია მხოლოდ მეხორცული მიმართულების შემთხვევაში პროპორციით 30 ფურზე/1 კურო), ხოლო დანარჩენი მიზნობრიობებისათვის – არა უმეტეს 17,000 ლარისა.

7. ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა რეფინანსირებული სესხისა) თითოეული ტრანშის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს ტრანშის სრულად გახარჯვა (სესხის თანხით განხორციელებული ნებისმიერი შესყიდვა (გარდა მომსახურებისა) უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირისაგან ან იმპორტის გზით) და სესხის მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა სესხის ან მისი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 7 (შვიდი) თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო შეუჩერებს ბენეფიციარს თანადაფინანსებას, ხოლო 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდეგ სააგენტოს მხრიდან წყდება თანადაფინანსება. (27.03.2024 N 423)

8. კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე სააგენტო უფლებამოსილია, განიხილოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვადების ცვლილების საკითხი.

9. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხ(ებ)ი გაიცემა შემდეგი მერმეული ან/და მეხორცული ან/და კომბინირებული მიმართულების ან/და სანაშენე ფერმების დაფინანსებისთვის, შემდეგი მიზნობრიობებით:

ა) ფერმის შენობის აშენება/რეკონსტრუქცია (ფერმის კრიტერიუმებს დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

ბ) ფერმის აღჭურვა/ტექნიკა (კრიტერიუმებს დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

გ) რეკომენდებული მსხვილფეხა პირუტყვის ჯიშების შეძენა;

დ) რძის წარმოება/პირველადი გადამამუშავება (მხოლოდ გაციება);

ე) მართვის ელექტრონული სისტემის დანერგვა (50 ფურისა და მეტის შემთხვევაში); (არა უმეტეს 200,000 ლარისა);

ვ) საკვების შესანახი/წარმოების შენობა/ნაგებობა;

ზ) ჭაბურღილის ან/და შესაბამისი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა.

თ) ფერმის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო შიდა ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსება. (27.03.2024 N 423)

10. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი: (4.03.2025 N 388)

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 17%-ისა
600 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 16%-ისა
5 000 001 ლარიდან 10 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს 15%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 5 000 000 ლარის ჩათვლით	არაუმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა
5 000 001 ლარიდან 10 000 000 ლარის ჩათვლით	ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 5%-ისა.

11. სააგენტოს მონაწილეობა:

სააგენტოს მიერ არა უმეტეს 84 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება მოხდება მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 86 თვის განმავლობაში.

12. კომპონენტის მიზნობრივი არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

მუხლი 8⁵. კომპონენტის – „შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისათვის“ ქვეკომპონენტი „სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის სადგომის მოწყობის დაფინანსებისათვის“ (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის სადგომის მოწყობის დაფინანსებისათვის.

2. ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობა არ უნდა იყოს 20 000 (ოცი ათასი) ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარს.

4. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს ქვეკომპონენტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებსა და ამ პროექტის მოთხოვნებს. ამასთანავე, მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმება მიზნობრიობის განხორციელება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრის (თანამესაკუთრების) თანხმობა სესხის თანადაფინანსების ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის თანადაფინანსების ვადაზე ნაკლები). (27.03.2024 N 423)

5. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) მოაწყოს არანაკლებ 100 მოზარდი მსხვილფეხა პირუტყვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ფერმის კრიტერიუმებს დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

ბ) სესხზე თანადაფინანსების მოქმედების პერიოდში შეინარჩუნოს სესხის მოცულობის (არაუმეტეს 1500 ლარისა ერთ სულზე გადაანგარიშებით) შესაბამისი სულადობა (დაკვლის ან დაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარმა თავად უნდა უზრუნველყოს ჩანაცვლება სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში); (27.03.2024 N 423)

გ) უზრუნველყოს დახურული ტიპის ან ღია ტიპის ფერმის აშენება/რეკონსტრუქცია/აღჭურვა (ასევე ფერმის კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რომელსაც დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

დ) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტისგან რეკომენდაციის აღება ფერმის განთავსების ადგილის შესახებ, დასახლებული პუნქტიდან დაშორების გათვალისწინებით;

ე) უზრუნველყოს ნარჩენების მართვის სისტემის დანერგვა, მათ შორის, ნაკელის უტილიზაციის სისტემის მოწყობა;

ვ) უზრუნველყოს ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, წარმოების ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების გათვალისწინება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) მოქმედი ფერმის შემთხვევაში, უზრუნველყოს, განაცხადის წარდგენის დროს მოქმედი ფერმა დარეგისტრირებული იყოს ბიზნესოპერატორად და

კუთვნილი მსხვილფეხა ცხოველები დარეგისტრირებული იყოს საქართველოს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS).

6. სესხის ოდენობა ერთ სულზე გადაანგარიშებით შეადგენს არა უმეტეს 1 500 ლარს.

7. ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა რეფინანსირებული სესხისა) თითოეული ტრანშის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს ტრანშის სრულად გახარჯვა (სესხის თანხით განხორციელებული ნებისმიერი შესყიდვა (გარდა მომსახურებისა) უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/იურიდიული პირისაგან ან იმპორტის გზით) და სესხის მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა სესხის ან მისი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 7 (შვიდი) თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო შეუჩერებს ბენეფიციარს თანადაფინანსებას, ხოლო 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდეგ სააგენტოს მხრიდან წყდება თანადაფინანსება. (27.03.2024 N 423)

8. კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე სააგენტო უფლებამოსილია, განიხილოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვადების ცვლილების საკითხი.

9. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხ(ებ)ი გაიცემა სასუქი მსხვილფეხა პირუტყვის სადგომის მოწყობისთვის შემდეგი მიზნობრიობით:

ა) დახურული ან ღია ტიპის ფერმის შენობის აშენების/რეკონსტრუქციის დაფინანსებისთვის (ფერმის კრიტერიუმებს დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

ბ) ფერმის აღჭურვა/ტექნიკა (ფერმის კრიტერიუმებს დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

გ) ჭაბურღილის ან/და შესაბამისი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა;

დ) საკვების შესანახი შენობა-ნაგებობის მოწყობა.

ე) მსხვილფეხა პირუტყვის ფერმის ფუნქციონირებისათვის საჭირო შიდა ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსება. (27.03.2024 N 423)

10. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი:

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 17%-ისა
600 001 ლარიდან 1 000 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 16%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 600 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა
600 001 ლარიდან 1 000 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 6%-ისა.

11. სააგენტოს მონაწილეობა:

სააგენტოს მიერ არა უმეტეს 48 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება მოხდება მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 50 თვის განმავლობაში.

12. კომპონენტის მიზნობრივი არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

მუხლი 86. კომპონენტის - „შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებებისათვის“ ქვეკომპონენტი - „მსხვილფეხა პირუტყვის მცირე ფერმერული მეურნეობების დაფინანსებისათვის“ (25.12.2023 N 2346 ძალაშია 2024 წლის 1 თებერვლიდან)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები გაიცემა მსხვილფეხა პირუტყვის ფერმის დაფინანსებისათვის.

2. ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს – 20 000 ლარიდან 75 000 ლარამდე სესხების შემთხვევაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხ(ებ)ის ჯამური მოცულობა არ უნდა იყოს 20 000 (ოცი ათასი) ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 250,000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს.

4. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს ქვეკომპონენტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებსა და ამ პროექტის მოთხოვნებს. ამასთანავე, მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმება მიზნობრიობის განხორციელება, უნდა იყოს მსესხებლის საკუთრებაში, თანასაკუთრებაში ან სარგებლობაში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (თანასაკუთრების შემთხვევაში, უნდა არსებობდეს თანამესაკუთრის (თანამესაკუთრების) თანხმობა სესხის თანადაფინანსების ვადის განმავლობაში ქონებით სარგებლობის

თაობაზე, ხოლო სარგებლობის შემთხვევაში, მისი მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სესხის თანადაფინანსების ვადაზე ნაკლები). (27.03.2024 N 423)

5. ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) მოაწყოს არა უმეტეს 25 მეწველი ფურისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ასევე ფერმის კრიტერიუმების დაკმაყოფილება, რომელსაც დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ბ) ამოღებულია (27.03.2024 N 423)

გ) უზრუნველყოს ფერმის აშენება/რეკონსტრუქცია/აღჭურვა და შესაბამისი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელსაც შეიმუშავენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

დ) უზრუნველყოს ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, წარმოების ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების გათვალისწინება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ე) უზრუნველყოს წყლის/ელექტროენერგიის მუდმივი ხელმისაწვდომობა;

ვ) მოქმედი ფერმის შემთხვევაში, უზრუნველყოს, განაცხადის წარდგენის დროს მოქმედი ფერმა დარეგისტრირებული იყოს ბიზნესოპერატორად და კუთვნილი მსხვილფეხა ცხოველები დარეგისტრირებული იყოს საქართველოს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS).

6. სესხის ოდენობა ერთ სულზე გადაანგარიშებით შეადგენს არა უმეტეს 10 000 ლარს.

7. ბენეფიციარი ვალდებულია, სესხის (გარდა იმ რეფინანსირებული სესხისა, რომლითაც მოხდა ძველი სესხის დაფარვა და არ მომხდარა ახალი მიზნობრიობის დამატება) თითოეული ტრანშის მიღებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში უზრუნველყოს ტრანშის სრულად გახარჯვა (სესხის თანხით განხორციელებული ნებისმიერი შესყიდვა (გარდა მომსახურებისა) უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული მეწარმე ფიზიკური/ იურიდიული პირისაგან ან იმპორტის გზით) და სესხის მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად, საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს აუდიტორული დასკვნა სესხის ან მისი ტრანშის გაცემიდან მომდევნო 7 (შვიდი) თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში ბენეფიციარმა არ წარადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო შეუჩერებს ბენეფიციარს თანადაფინანსებას, ხოლო 12 (თორმეტი) თვის გასვლის შემდეგ სააგენტოს მხრიდან წყდება თანადაფინანსება. (27.03.2024 N 423)

8. კომპონენტის ფარგლებში გაცემულ სესხებზე სააგენტო უფლებამოსილია, განიხილოს ამ მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ვადების ცვლილების საკითხი.

9. ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხ(ებ)ი გაიცემა შემდეგი მიზნობრიობით:

ა) შენობა-ნაგებობისა (სადგომი) და ფერმის მოწყობისთვის საჭირო აღჭურვილობის/დანადგარების დაფინანსებისთვის (ფერმის კრიტერიუმებს დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

ბ) ფერმის აშენება/რეკონსტრუქცია (ფერმის კრიტერიუმებს დაადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

გ) რძის წარმოება/პირველადი გადამუშავება;

დ) საკვების შესანახი შენობა-ნაგებობა;

ე) მსხვილფეხა პირუტყვის სადგომის წყლის უზრუნველყოფა.

ვ) მსხვილფეხა პირუტყვის ფუნქციონირებისათვის საჭირო შიდა ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოწყობის დაფინანსება. (27.03.2024 N 423)

10. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი დგინდება მისი მოცულობიდან გამომდინარე. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი შესაძლებელია, იყოს ფიქსირებული ან მცურავი:

ა) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 18%-ისა
150 001 ლარიდან 250 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს 17%-ისა;

ბ) მცურავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, საფინანსო ინსტიტუტის მიერ დადგენილი უნდა იყოს შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთები:

სესხის მოცულობა	საპროცენტო განაკვეთი
20 000 ლარიდან 150 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 8%-ისა
150 001 ლარიდან 250 000 ლარის ჩათვლით	არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7%-ისა.

11. სააგენტოს მონაწილეობა:

სააგენტოს მიერ არა უმეტეს 48 თვის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება მოხდება მსესხებლის მიერ გადახდილი თანხის პარალელურად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სესხის ძირითადი თანხის წლიური 11%-ის ოდენობით, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემიდან არა უმეტეს 50 თვის განმავლობაში.

12. კომპონენტის მიზნობრივი არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

მუხლი 9. კომპონენტი შეღავათიანი აგროლიზინგი

1. აგროლიზინგის კომპონენტი ემსახურება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამატებითი ღირებულების შემქმნელი ინფრასტრუქტურის განვითარებას. შეღავათიანი აგროლიზინგის დაფინანსებით ისარგებლებენ ის საწარმოები, რომლებიც ქმნიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას (თანამედროვე ფერმები, სასათბურე მეურნეობები და სხვა) ან ეწევიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნებისმიერი სახით გადამუშავებას (შენახვა, დაფასოება, გადამუშავება) ან აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთ მასალებს, ასევე ის საწარმოები, რომელთაც თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დამტკიცებული აქვთ სახელმწიფო თანადაფინანსება.

2. აგროლიზინგის კომპონენტი დაფინანსდება „შელავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებებისთვის“ კომპონენტის ბიუჯეტიდან (არ ვრცელდება თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გასაცემ აგროლიზინგზე).

3. სააგენტო უზრუნველყოფს სალიზინგო საზღაურის ნაწილის თანადაფინანსებას, ლიზინგის მიმღებთან შეთანხმების საფუძველზე.

4. სააგენტო ლიზინგის გამცემთან გააფორმებს ხელშეკრულებებს და დაადგენს ლიზინგის გამცემისთვის შესაბამისობის კრიტერიუმებს, ვადებსა და პირობებს, რომლებიც ამ უკანასკნელმა უნდა დააკმაყოფილოს სააგენტოს თანამონაწილეობის სანაცვლოდ.

5. პროექტის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე სააგენტო განახორციელებს შეღავათიანი აგროლიზინგის მიმღების (ბენეფიციარის) მონიტორინგს და შესაბამის რეაგირებას მოახდენს დარღვევებზე.

6. შეღავათიანი აგროლიზინგით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეს;

გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ მეწარმე იურიდიულ პირს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოსი).

7. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროლიზინგით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ლიზინგის გამცემის მიერ ასეთი ტიპის ლიზინგის გაცემის წინაპირობებსა და ამ პროექტის მოთხოვნებს.

7¹. პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ - ფარგლებში წარმოებულ რეესტრში. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

8. ამ კომპონენტით დაფინანსდებიან ის საწარმოები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებაზე და გამოიყენებენ ადგილობრივ შრომით რესურსებს. დაუშვებელია იმ პროექტების დაფინანსება, რომლებიც გათვლილია მხოლოდ იმპორტირებული ნედლეულის გადამამუშავებასა და არაადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე.

9. ამ კომპონენტით გათვალისწინებულია ახალი და არსებული სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მანქანა-დანადგარებით აღჭურვის დაფინანსება, მათ შორის:

ა) გადამამუშავებელი საწარმოები:

ა.ა) ხორცის, თევზისა და რძის გადამამუშავება;

ა.ბ) ალკოჰოლური სასმელების წარმოება; (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ა.გ) ჩაის, დაფნის წარმოება და დაფასოება;

ა.დ) ხილის, ბოსტნეულისა და კენკროვნების გადამამუშავება;

ა.ე) ციტრუსის გადამამუშავება;

ა.ვ) კაკლისა და თხილის, მიწის თხილისა და სხვა კაკლოვნების გადამამუშავება;

- ა.ზ) მატყლის, ტყავისა და ბეწვეულის წარმოება;
- ა.თ) მცენარეული ცხიმებისა (ზეთის, მარგარინის, ერბოს) და ხალვის წარმოება;
- ა.ი) **ამოღებულია** (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)
- ა.კ) ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;
- ა.ლ) სასაკლაოს მოწყობა;
- ა.მ) მეფუტკრეობის პროდუქციის გადამუშავება;
- ა.ნ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზების საკვების წარმოება;
- ა.ო) მარცვლეულის გადამუშავება (გარდა ხორბლის ფქვილის წარმოებისა), მხოლოდ თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაცემული აგროლიზინგის შემთხვევაში;
- ა.პ) ორგანული სასუქების წარმოება; (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)
- ა.ჟ) მაკარონის ნაწარმის წარმოება; (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)
- ბ) ინფრასტრუქტურული საწარმოები:
- ბ.ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები;
- ბ.ბ) მარცვლეულის საშრობები;
- ბ.გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობები;
- ბ.დ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესაფუთი მასალების წარმოება;
- ბ.ე) ალკოჰოლური სასმელებისთვის მუხის კასრების წარმოება;
- ბ.ვ) ქვევრების წარმოება ღვინისთვის;
- გ) პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოები:
- გ.ა) მეცხოველეობის ფერმა (გარდა მხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა); (27.03.2024 N 423)
- გ.ბ) მეფრინველეობის ფერმა;
- გ.გ) ფრინველის საჩეკი მეურნეობა;
- გ.დ) ძვირფასბეწვიანი ცხოველების ფერმა;
- გ.ე) სათბურები და სხვა დახურული გრუნტის წარმოება;
- გ.ვ) თევზის წარმოება;
- გ.ზ) მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება;
- გ.თ) საჩითილეები და სანერგეები;
- გ.ი) **ამოღებულია** (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)
- გ.კ) უხერხემლო მუცელფეხებიანი ცხოველებისა და კრევეტების წარმოება; (10.10.2022 N1819)
- დ) ენერგოეფექტური საწარმოები: (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)
- დ.ა) ენერგოეფექტური ღუმელების წარმოება;

დ.ბ) ენერგოეფექტური ღუმელისთვის საწვავის მწარმოებელი საწარმოები.

ე) ტექნოლოგიური ხაზების (მათ შორის, არასტაციონარული), კლიმატის შემქმნელი ტექნიკისა და აპარატურის, გაყინვის დანადგარების, დენის გენერატორის, საწველი აპარატურის, საკვების მოსამზადებელი დანადგარებისა და სხვ. შეძენა, მონტაჟი, რემონტი. (2.08.2021 N 1323)

ვ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტისთვის მეტეოსადგურის შეძენა. (29.11.2022 N 2189)

10. შეღავათიანი აგროლიზინგით შესაძლებელია დაფინანსდეს ლიზინგის გამცემის მიერ:

ა) ახალი და/ან მეორადი მანქანა-დანადგარების იმპორტი;

ბ) საქართველოში უცხოური ან ადგილობრივი წარმოების ახალი მანქანა-დანადგარების შეძენა;

გ) ლიზინგის გამცემის ბალანსზე არსებული მეორადი მანქანა-დანადგარების ლიზინგის მიმღებზე გადაცემა იმ პირობით, რომ ლიზინგის საგანი არ არის შეძენილი ლიზინგის მიმღებისგან ან მასთან დაკავშირებული პირისგან.

დ) განახლებადი ენერგიის წყაროების შეძენა, მონტაჟი, მოწყობა. (27.04.2021 N 634)

11. ამ კომპონენტის ფარგლებში დაუშვებელია, დაფინანსდეს შემდეგი სახის ლიზინგი:

ა) მიწის ლიზინგი;

ბ) არსებული სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობების ლიზინგი;

გ) **ამოღებულია** (25.01.2018 N 182 ძალაშია 2018 წლის 1 თებერვლიდან)

დ) სატრანსპორტო (გარდა სპეცტექნიკისა და მისაბმელისა, ტექნიკისა და იმპლემენტისა, არასტაციონარულ ტექნოლოგიურ ხაზებთან ინტეგრირებული სატრანსპორტო საშუალებისა), მფრინავი (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატისა (აგროდრონი) შესხურების ფუნქციით და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატისა (აგროდრონი) აგრონომიული დანიშნულების სკანირების განხორციელებისთვის) და მცურავი საშუალებების ლიზინგი; (29.11.2022 N 2189)

ე) საოფისე ფართის ლიზინგი.

12. ერთ ბენეფიციარზე ლიზინგის გამცემის ინვესტიციის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ლარით და არაუმეტეს 1 500 000 ლარით (მათ შორის, თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაცემული ლიზინგი), ლიზინგის გაცემის მაქსიმალური ვადა შეზღუდული არ არის.

13. შეღავათიანი აგროლიზინგის ერთი პროექტის ფარგლებში, ერთ ბენეფიციარზე დასაშვებია გაიცეს რამდენიმე აგროლიზინგი. აღნიშნულ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემის ინვესტიციების ჯამური მოცულობა უნდა იყოს არანაკლებ 20 000 (ოცი ათასი) ლარისა და არაუმეტეს 1 500 000 ლარისა.

14. პროექტის ფარგლებში, დასაშვებია ერთ ბენეფიციარზე ერთდროულად შეღავათიანი აგროკრედიტისა და შეღავათიანი აგროლიზინგის თანადაფინანსება იმ

პირობით, რომ ამგვარი ლიზინგ(ებ)ისა და სესხ(ებ)ის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 1 500 000 ლარს.

15. ლიზინგის გამცემის მიერ სალიზინგო საზღაურში გათვალისწინებული მომსახურების წლიური სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებულ 12%-ს. *(2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

16. სააგენტოს მიზნობრივი თანადაფინანსება განისაზღვრება ლიზინგის გამცემის ინვესტიციის წლიური 12%-ის ოდენობით 48 თვის განმავლობაში, რომელსაც სააგენტო გადაუხდის ლიზინგის მიმღებს, მის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის შესაბამისად, სალიზინგო საზღაურის გადახდის შემდეგ. *(24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

17. შეღავათიანი აგროლიზინგის თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, წინსწრებით გადახდის საკომისიო და/ან ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს წინსწრებით გადახდილი სალიზინგო საზღაურის 4%-ს. ხოლო სალიზინგო ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის შემდეგ, შეღავათიანი აგროლიზინგის თანხის მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე გადახდის შემთხვევაში – სალიზინგო საზღაურის 2%-ს.

18. ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემისთვის აღნიშნულის შესახებ წინასწარი შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს.

19. ხელშეკრულებით შეთანხმებული გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში ლიზინგის მიმღების მიერ სალიზინგო საზღაურის გადაუხდელობის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია, დაარიცხოს ლიზინგის მიმღებს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული სალიზინგო საზღაურის არაუმეტეს 0.1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. სალიზინგო საზღაურის გადახდა ხდება ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით.

20. შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტის ფარგლებში, თანადაფინანსებული სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, სააგენტო უფლებამოსილია, ჩაატაროს ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების მონიტორინგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების გარკვევის მიზნით. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტო იმოქმედებს მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

21. მიზნობრივი თანადაფინანსება ლიზინგის გამცემის ინვესტიციაზე დარიცხული სარგებლის წლიური 12%-ის ოდენობით, სააგენტოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, გაიცემა მას შემდეგ, რაც ლიზინგის გამცემსა და ლიზინგის მიმღებს შორის ხელი მოეწერება ლიზინგის ხელშეკრულებას და ლიზინგის მიმღები განახორციელებს სალიზინგო საზღაურის გადახდას. *(24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

22. თუ ლიზინგის გამცემი გადაწყვეტს რომელიმე სალიზინგო პროექტის განხილვას, მას შეუძლია სააგენტოს მიმართოს თხოვნით, მიიღოს ინფორმაცია იმის თაობაზე, ხომ არ განიხილება მსგავსი პროექტი სხვა საფინანსო ინსტიტუტის ან ლიზინგის გამცემის მიერ, მაგრამ ამავედროულად ვალდებულია, აცნობოს სააგენტოს თავისი პროექტის შესახებაც, ხოლო თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში ლიზინგის გაცემის შემთხვევაში, არ გასცეს ლიზინგი სააგენტოს წინასწარი თანხმობის გარეშე.

23. სააგენტოს მიზნობრივი თანადაფინანსება შეწყდება შემდეგი გარემოებების დადგომისას:

ა) ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის მთლიანი ფასის სრულად გადახდა;

ბ) ლიზინგის მიმღების მიერ ხელშეკრულებითა და პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა. ვადაგადაცილების დროს მიზნობრივი თანადაფინანსება შეჩერდება, ხოლო ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის გამოთხოვის შემთხვევაში – წყდება;

გ) ლიზინგის რესტრუქტურისაციის შემთხვევაში, თუ რესტრუქტურისაციის შედეგად იზრდება სააგენტოს მიერ დადგენილი ლიზინგის მაქსიმალური ვადა და/ან მიზნობრივი თანადაფინანსების თანხა;

დ) ლიზინგის გამცემის მიერ დარღვეულ იქნა სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები. ასეთ შემთხვევებში, სააგენტო უფლებამოსილია, ლიზინგის გამცემს დააკისროს პირგასამტეხლო და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება;

ე) თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში აგროლიზინგის გაცემის შემთხვევაში, ბენეფიციარის მიერ საწარმოს ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში საწარმოს შეეცვალა პროფილი; *(4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

ვ) ლიზინგის გაცემისას დარღვევების დაფიქსირება. ასეთ დროს ლიზინგის გამცემს ეკისრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმა. ამასთან, სააგენტო დაფინანსების შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სააგენტოში დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

24. თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში ლიზინგის გაცემის შემთხვევაში, ლიზინგის მიმღების მიმართ სააგენტოს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ლიზინგის გამცემი ვალდებულია, თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი თანხა გადასცეს სააგენტოს.

24¹. თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დაფინანსებული საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროლიზინგის (მათ შორის, პარალელური ლიზინგის) მოცულობები, დაფინანსების პროპორციები, მიზნობრიობა (მათ შორის, ისეთი მიზნობრიობა, რომელიც ამ მუხლით აკრძალულია ან არ არის განსაზღვრული) და ტრანშების გაცემის ვადები განისაზღვრება თანადაფინანსების პროექტით. *“(4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)”*

25. იმ შემთხვევაში, თუ სალიზინგო კომპანია დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს/პროექტის პირობებს ან სალიზინგო კომპანიის წინასწარი თანხმობით,

სააგენტო უფლებამოსილია, თავად მოახდინოს ლიზინგის საგნის რეალიზაცია. აღნიშნული მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია, განათავსოს ლიზინგის საგნის რეალიზაციის თაობაზე ინფორმაცია საკუთარ (ან კონტრაქტორი პირის) ვებგვერდზე, სალიზინგო კომპანიასთან წინასწარ შეთანხმებული ფასით.

26. თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში ლიზინგის გაცემის შემთხვევაში, განისაზღვრება საშეღავათო პერიოდი, რომელიც უნდა შეადგენდეს:

ა) მომსახურების წლიური სარგებლის თანხაზე – არანაკლებ 12 თვისა, თუ ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები სხვა პირობაზე არ შეთანხმდებიან;

ბ) აგროლიზინგის ძირითად თანხაზე – არანაკლებ 24 თვისა, თუ ლიზინგის გამცემი და ლიზინგის მიმღები სხვა პირობაზე არ შეთანხმდებიან.

27. დაუშვებელია ამ მუხლის 26-ე პუნქტში მითითებული საშეღავათო პერიოდის განმავლობაში, ლიზინგის გამცემის მიერ გადასახდელი თანხის კაპიტალიზაციის წესით დაანგარიშება.

28. თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში ლიზინგის გაცემის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია, დამატებით მოსთხოვოს ლიზინგის მიმღებს უზრუნველყოფის წარდგენა.

29. კომპონენტის ან ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია პარალელური სესხები ან/და პარალელური აგროლიზინგები. სხვადასხვა ვალუტაში მიმდინარე სესხების/აგროლიზინგების არსებობის შემთხვევაში, ახალი სესხის/ლიზინგის დამტკიცების მომენტისათვის ყველა სესხის/ლიზინგის ჯამური მიმდინარე ნაშთი ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით არ უნდა აღემატებოდეს 1 500 000 ლარს. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

მუხლი 10. ამოღებულია (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

მუხლი 10¹. შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ხე-ტყის დამამზადებელი მექანიზაციისთვის (სათაური 12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროლიზინგი გაიცემა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკისა და იმპლემენტის ან/და ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკისა და იმპლემენტების (შემდგომში – ტექნიკა) შესასყიდად (ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკისა და იმპლემენტების შესაბამისობა უნდა დასტურდებოდეს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გაცემული ცნობით), რომელთა შესყიდვა შესაძლებელია, განხორციელდეს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

2. ქვეკომპონენტის ფარგლებში იმპლემენტის ლიზინგით მიღება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარს რეგისტრირებულ საკუთრებაში გააჩნია შესაბამისი ტექნიკა (დადასტურებულ უნდა იქნეს სათანადო დოკუმენტაციით) ან გაცემული აგროლიზინგის მიზნობრიობას წარმოადგენს შესაბამისი ტექნიკ(ებ)ისა და იმპლემენტ(ებ)ის ერთობლივად ლიზინგით მიღება. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

3. ქვეკომპონენტის ფარგლებში ტექნიკის ლიზინგით მიღება შესაძლებელია ადგილობრივ ბაზარზე (საქართველოში რეგისტრირებული ინდემწარმისგან ან/და იურიდიული პირისგან) ან იმპორტის გზით. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

4. ლიზინგით მისაღები ტექნიკა უნდა იყოს ახალი (გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ (ს/ნ: 206348736) ან/და შპს „აგროსერვის ცენტრისგან“ (ს/ნ: 406321065) შესასყიდი ტექნიკისა), კერძოდ, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ორ პირობას: (31.08.2022 N 1591 გავრცელდეს პროექტის ფარგლებში გაცემულ შესაბამისი მიზნობრიობის ყველა სესხზე)

ა) ტექნიკის ლიზინგით მიღების მომენტში უნდა მოქმედებდეს ტექნიკის მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული გარანტია (გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ (ს/ნ: 206348736) ან/და შპს „აგროსერვის ცენტრისგან“ (ს/ნ: 406321065) შესაძენი ტექნიკისა);

ბ) ტექნიკა წარმოებული უნდა იყოს ლიზინგით მიღებამდე არა უმეტეს 3 კალენდარული წლით ადრე (გარდა შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანიისგან“ (ს/ნ: 206348736) ან/და შპს „აგროსერვის ცენტრისგან“ (ს/ნ: 406321065) შესაძენი ტექნიკისა).

5. ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროლიზინგით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგ პირებს:

ა) საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირს (7000 ლარიდან 75 000 ლარამდე);

ბ) საქართველოში რეგისტრირებულ ინდემწარმეებს ან იურიდიულ პირებს (ქვეკომპონენტით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ნებისმიერი თანხის შემთხვევაში).

5¹. იმისათვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროლიზინგით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ლიზინგის გამცემის მიერ ასეთი ტიპის ლიზინგის გაცემის წინაპირობებსა და ამ პროექტის მოთხოვნებს. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

5². პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული უნდა იყოს „ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში წარმოებულ რეესტრში. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

6. დაუშვებელია, მოხდეს ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული ლიზინგის საგნის (ტექნიკის) გატანა საქართველოს საზღვრის გარეთ, სააგენტოს მიერ ლიზინგის თანადაფინანსების პერიოდის განმავლობაში. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

6¹. ხე-ტყის დამამზადებელი ტექნიკის შესყიდვის მიზნით, ლიზინგი გაიცემა 2021 წლის პირველი მაისიდან, იმ იურიდიულ პირებსა და ინდემწარმეებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან ახმეტის, დედოფლისწყაროს, ყვარლის, თელავის, თიანეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

7. ქვეკომპონენტის ფარგლებში შეღავათიანი აგროლიზინგი განისაზღვრება 7 000 ლარიდან 1 500 000 ლარის ჩათვლით. ბენეფიციარის მიერ პროექტის მე-7 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული შეღავათიანი აგროკრედიტ(ებ)ისა და აგროლიზინგ(ებ)ის ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 1 500 000 ლარს. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

8. ქვეკომპონენტის ფარგლებში სააგენტოს მიზნობრივი თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს ლიზინგის გამცემის ინვესტიციის წლიურ 9%-ს, რომელსაც სააგენტო გადაუხდის ლიზინგის მიმღებს, მის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი სალიზინგო საზღაურის გადახდის გრაფიკის შესაბამისად, სალიზინგო საზღაურის გადახდის შემდეგ. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

9. ქვეკომპონენტის ფარგლებში სააგენტო განახორციელებს არა უმეტეს 48 თვის სალიზინგო საზღაურის თანადაფინანსებას, აგროლიზინგის გაცემიდან არა უმეტეს მომდევნო 50 თვის განმავლობაში. (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

10. შეღავათიანი აგროლიზინგის პირობები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლით, დარეგულირდება პროექტის მე-9 მუხლით დადგენილ) საერთო პირობებით.

მუხლი 10². კომპონენტის - „შეღავათიანი აგროლიზინგის“ ქვეკომპონენტი - „სასურსათო და ენერგოეფექტური მრეწველობის დაფინანსებისთვის“ (სათაური 12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

1. ქვეკომპონენტის ფარგლებში ლიზინგის მიღების მსურველი მეწარმე სუბიექტი მიმართავს ლიზინგის გამცემს. ლიზინგის გამცემი, ამ პროგრამითა და მის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, სალიზინგო პროექტის დამტკიცების შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტის მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას აწვდის სააგენტოს, რომელიც ადასტურებს ან მოტივირებულ უარს აცხადებს სალიზინგო პროექტის თანადაფინანსებაზე.

2. ქვეკომპონენტის ფარგლებში ლიზინგის გამცემის მიერ ერთ ბენეფიციარზე გაცემული ლიზინგის საგნის ღირებულების მინიმალური მოცულობა უნდა შეადგენდეს

არანაკლებ 1,500,000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 10,000,000 (ათი მილიონი) ლარს. ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია ისეთი პარალელური ლიზინგი, რომლის დროსაც ხდება ერთ ბენეფიციარზე ერთსა და იმავე დარგში რამდენიმე სალიზინგო პროექტის გაცემა, თუკი ლიზინგის პროექტების ღირებულებათა ჯამური მოცულობა არ აღემატება 10,000,000 (ათი მილიონი) ლარს. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

3. სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული ლიზინგის არა უმეტეს 36 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 12%-ის ოდენობით, სააგენტოსა და ლიზინგის მიმღებს შორის შეთანხმების გაფორმებიდან არა უმეტეს 38 თვის განმავლობაში. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

4. ლიზინგის გამცემის მიერ სალიზინგო საზღაურში გათვალისწინებული მომსახურების წლიური სარგებელი არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის გამცემის ინვესტიციის 16%-ს, ხოლო მცურავ (ცვლადი) საპროცენტო სარგებლის შემთხვევაში - არა უმეტეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების განაკვეთს დამატებულ 7%-ს. (2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

5. სააგენტო ლიზინგის გამცემის მიერ ბენეფიციარისთვის დადგენილ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანხის ლიზინგის გამცემისთვის გადარიცხვით, შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად.

6. ლიზინგის გამცემის მიერ ერთ ბენეფიციარზე გასაცემი ლიზინგის საგნის ღირებულების მოცულობა, რომელიც აკმაყოფილებს ამ ქვეკომპონენტით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ ღირებულების მთლიანი მოცულობა აღემატება ამ ქვეკომპონენტით განსაზღვრულ მაქსიმალურ მოცულობას, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული, გადაწყვეტილებით დგინდება ლიზინგის გამცემის მიერ ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის მოცულობა.

7. მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ლიზინგის გამცემის მიერ ბენეფიციარისთვის გასაცემი ლიზინგის საგნის ღირებულებაზე დარიცხული წლიური საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით, მეწარმე სუბიექტი შესაბამისი დასაბუთებით მიმართავს სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეშვეობით საკითხს წარმოუდგენს საქართველოს მთავრობას განსახილველად.

8. ქვეკომპონენტის ფარგლებში ლიზინგ(ებ)ი გაიცემა შემდეგი მიზნობრიობით:

ა) პირველადი სასოფლო-სამეურნეო საწარმოების დაფინანსება;

ა.ა) ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების, მწვანე ხილისა და სოკოს სასათბურე მეურნეობა;

ა.ბ) მესაქონლეობის ფერმა (მერძეული-მეხორცული);

ა.გ) მეღორეობის ფერმა;

ა.დ) მეფრინველეობის ფაბრიკა (მხოლოდ მეხორცული მიმართულების გამოსაზრდელი და სანაშენე დანიშნულების მქონე);

ა.ე) ძვირფასბეწვიანი ცხოველების ფერმა;

ა.ვ) თევზის წარმოება;

ა.ზ) მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება;

ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება;

ბ.ა) ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, სოკოს, ციტრუსის გადამამუშავება;

ბ.ბ) კაკლის, თხილის, მიწის თხილისა და სხვა კაკლოვნების გადამამუშავება;

ბ.გ) მატყლის, ტყავის გადამამუშავება;

ბ.დ) დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამამუშავება;

ბ.ე) ხორცის, თევზისა და რძის გადამამუშავება; *(12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

ბ.ვ) მცენარეული ცხიმებისა (ზეთის, მარგარინის, ერბოს) და ხალვის წარმოება;

ბ.ზ) ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;

ბ.თ) სასაკლაოს მოწყობა;

ბ.ი) მეფუტკრეობის პროდუქციის გადამამუშავება;

ბ.კ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველებისა და თევზების საკვების წარმოება;

ბ.ლ) პურისა და პურპროდუქტების წარმოება;

ბ.მ) მაკარონის ნაწარმის წარმოება;

ბ.ნ) ყურძნის გადამამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოება (ამ მიზნობრიობის ლიზინგის გაცემა დასაშვებია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით); *(2.07.2020 N1138 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*

ბ.ნ.ა) ლიზინგის მიმღები ვალდებულია, ლიზინგის მიღებიდან მომდევნო 5 წლის განმავლობაში, ყოველი წლის რთვლის სეზონზე, გადაამუშაოს ბოლო 3 წლის რთვლის სეზონებს შორის გადამამუშავებული ყველაზე მეტი მოცულობის ყურძენზე დამატებით 1 ტონა ყურძენი, ყოველ მიღებულ 5 000 ლარზე გადაანგარიშებით;

ბ.ნ.ბ) თუ ლიზინგის მიმღებს არ განუხორციელებია ყურძნის გადამამუშავება უკანასკნელი 3 წლის რთვლის სეზონებზე, ლიზინგის მიღებიდან მომდევნო 5 წლის განმავლობაში ვალდებულია, გადაამუშაოს 1 ტონა ყურძენი ყოველ მიღებულ 5 000 ლარზე გადაანგარიშებით;

ბ.ნ.გ) ვალდებულებების შესრულების პირველ წლად განისაზღვროს 2020 წლის რთვლის სეზონი, ამასთან, ამ მიზნობრიობის ლიზინგის გაცემა დასაშვებია 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით;

გ) ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება;

გ.ა) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები;

გ.ბ) მარცვლეულის საშრობები;

- გ.გ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობები;
- დ) ქვეკომპონენტის ფარგლებში მიღებული ლიზინგ(ებ)ით შესაძლებელია, დაფინანსდეს შემდეგი სახის საქმიანობა:
- დ.ა) არსებული შენობების რემონტი და მოწყობა;
 - დ.ბ) ახალი შენობების აშენება და მოწყობა;
 - დ.გ) ტექნოლოგიური ხაზების, კლიმატის შემქმნელი ტექნიკისა და აპარატურის, გაყინვის დანადგარების, დენის გენერატორის, სარწყავი სისტემების, საწველი აპარატურის, საკვების მოსამზადებელი დანადგარებისა და სხვა შეძენა, მონტაჟი;
 - დ.დ) წყლის, ელენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდების წყაროებსა და კანალიზაციაზე მიერთება;
 - დ.ე) სამეურნეო ობიექტების შემოღობვა, დაცვის სისტემების მოწყობა;
 - დ.ვ) შესანახი კამერების, სტელაჟების, ცისტერნებისა და შენახვის სხვა ტექნოლოგიური აღჭურვილობების შეძენა, მონტაჟი;
 - დ.ზ) საწარმოს ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სპეცტექნიკისა და მისაბმელების (მტვირთავის, ნაკელის გამტანის, საკვების შემრევ-მიმწოდებლისა და სხვა) შეძენა;
 - დ.თ) სანაშენე და მაღალპროდუქტიული პირუტყვის, ფრინველის, თევზის, ძვირფასბეწვიანი ცხოველების შეძენა;
 - დ.ი) თევზის ავზებისა და ტბორების აშენება და მოწყობა.
- ე) ენერგოეფექტური საწარმოები: *(12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)*
- ე.ა) ენერგოეფექტური ღუმელების წარმოება;
 - ე.ბ) ენერგოეფექტური ღუმელის საწვავის მწარმოებელი საწარმოები.
 - ვ) განახლებადი ენერგიის წყაროების შეძენა, მონტაჟი, მოწყობა. *(28.06.2021N 1082)*
 - ზ) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტისთვის მეტეოსადგურის შეძენა. *(29.11.2022 N 2189)*
9. ქვეკომპონენტის ფარგლებში მიღებული ლიზინგ(ებ)ით დაუშვებელია დაფინანსდეს შემდეგი სახის საქმიანობა:
- ა) მიწის შეძენა;
 - ბ) არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შენობა-ნაგებობების, სათბურებისა და სხვ. შეძენა;
 - გ) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის (ტრაქტორის, კომბაინისა და სხვა), ასევე მისაბმელების (გუთნის, ფარცხის, სათესის, სასუქის შეტანისა და სხვა) შეძენა, რემონტი;
 - დ) სატრანსპორტო, მფრინავი (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატისა (აგროდრონი) შესხურების ფუნქციით და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატისა (აგროდრონი) აგრონომიული დანიშნულების სკანირების განხორციელებისთვის) და მცურავი საშუალებების შეძენა, რემონტი; *(29.11.2022 N 2189)*
 - ე) მხოლოდ საოფისე ფართის მშენებლობა, რემონტი, აღჭურვა.

10. ქვეკომპონენტის ფარგლებში დაფინანსებული საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

ა) საწარმო უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარიულ და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს;

ბ) საწარმოს შენობა-ნაგებობებსა და მიმდებარე ტერიტორიას უნდა ჰქონდეს ესთეტიკური გარეგანი სახე.

11. ლიზინგის გამცემთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი პირობები:

ა) ლიზინგის გაცემის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს სალიზინგო პროექტის ჯამური ღირებულების 0.1%-ს;

ბ) ლიზინგის ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის განმავლობაში გადახდის შემთხვევაში, წინსწრებით გადახდის საკომისიო და/ან ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს წინსწრებით გადახდილი თანხის 2%-ს. შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის შემდეგ ლიზინგის ღირებულების მთლიანად ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე გადახდის შემთხვევაში, წინსწრებით გადახდის საკომისიო და/ან ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს წინსწრებით გადახდილი თანხის 1%-ს;

გ) ბენეფიციარი ვალდებულია, ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვამდე 30 კალენდარული დღით ადრე აცნობოს ლიზინგის გამცემს ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვის შესახებ;

დ) გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში, გრაფიკით განსაზღვრული თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია, მხოლოდ გადასახდელ, ვადაგადაცილებულ სალიზინგო საზღაურზე დაარიცხოს პროგრამის ბენეფიციარს ჯარიმა/პირგასამტეხლო, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ვადაგადაცილებული თანხის 0.1 პროცენტს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ე) სალიზინგო პროექტის სხვა ლიზინგის გამცემის მიერ რეფინანსირების შემთხვევაში, ლიზინგის გამცემი უფლებამოსილია, გამოიყენოს არა უმეტეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რეფინანსირების მომენტისათვის დადგენილი რეფინანსირების საკომისიოს მაქსიმალური განაკვეთები;

ვ) ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია პარალელური ლიზინგების გაცემა, თუ პარალელური ლიზინგების ჯამი არ აღემატება ქვეკომპონენტში ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრული ლიზინგის მაქსიმალურ ლიმიტს და თითოეული პარალელური ლიზინგის თანხა არ არის მინიმალურ სალიმიტო თანხაზე ნაკლები (შეღავათიანი აგროკრედიტის ძირითადი საშუალებების კომპონენტის ქვეკომპონენტს სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისა და შეღავათიანი აგროლიზინგის კომპონენტის ქვეკომპონენტს სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისთვის გაცემული სესხებისა და ლიზინგების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 5 000 000 ლარს);

ზ) ქვეკომპონენტის ფარგლებში დასაშვებია გაცემული ლიზინგის რესტრუქტურირაცია, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იზრდება თავდაპირველად

დამტკიცებულ ლიზინგზე სააგენტოს მიერ თანადაფინანსების სახით გადასახდელი ჯამური თანხა, რომელიც გათვალისწინებული იყო პირველადი ლიზინგის პირობებით;

თ) ქვეკომპონენტის ფარგლებში, თანადაფინანსებული სალიზინგო ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე სააგენტო უფლებამოსილია, ჩაატაროს ლიზინგის გამცემისა და ლიზინგის მიმღების მონიტორინგი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების გარკვევის მიზნით. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტო იმოქმედებს მხარეებთან გაფორმებული ხელშეკრულებით (ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოს შემთხვევაში, ლიზინგის მიმღებმა არა უგვიანეს ყოველი წლის 15 დეკემბრისა სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოდან ცნობა შესაბამისი რაოდენობის ყურძნის შესყიდვის შესახებ).

მუხლი 11. შეღავათიანი აგროკრედიტის რეფინანსირების პირობები თანადაფინანსების პროექტისთვის (4.02.2020 N200 ძალაშია 2020 წლის 10 თებერვლიდან და არ გავრცელდეს განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)
დასაშვებია გაცემული შეღავათიანი აგროკრედიტების რეფინანსირება, თუ სესხის რეფინანსირების თარიღისთვის ახალი სესხის თანხა არ აღემატება თავდაპირველი სესხის ნარჩენ ძირითად თანხას; რეფინანსირების შედეგად არ იზრდება თავდაპირველი სესხის ვადა და თანადაფინანსების ჯამური სააგენტოს დარჩენილი გადასახდელი მოცულობა.

მუხლი 12. ამოღებულია (24.04.2020 N720 არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

დანართი №2 (13.02.2017 N 246 ძალაშია 2017 წლის 15 თებერვლიდან)

გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი
(სათაური 14.06.2019 N1361)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი (შემდგომში – თანადაფინანსების პროექტი) ითვალისწინებს ორ კომპონენტს: (14.06.2019 N1361)

ა) გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება;

ბ) შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

2. თანადაფინანსების პროექტის განმახორციელებელია ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო. (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

თანადაფინანსების პროექტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სააგენტო – ა(ა)იპ – სოფლის განვითარების სააგენტო; (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ბ) სახელმწიფო საწარმო – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომლის აქციების ან წილის 50%-ის ან მეტის მესაკუთრეა სახელმწიფო;

გ) მუნიციპალური საწარმო – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საწარმო, რომლის აქციების ან წილის 50%-ის ან მეტის მესაკუთრეა მუნიციპალიტეტი;

დ) სახელმწიფოსთან აფილირებული საწარმო – სახელმწიფოს, მუნიციპალური ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოს შვილობილი საწარმო ან სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო სახსრებით პირდაპირ ან არაპირდაპირ დაფინანსებული საწარმოები, სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების მეშვეობით დაფინანსებული საწარმოები. ასევე სახელმწიფოს, მუნიციპალური ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საწარმოები, რომლებიც მართვის უფლებით გადაცემულია მესამე პირებზე;

ე) ამოღებულია (14.06.2019 N1361)

მუხლი 3. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი (14.06.2019 N1361)

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მიზანია:

ა) მუნიციპალიტეტებში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და უმოქმედო საწარმოების რეაბილიტაცია;

ბ) გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია;

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წინაპირობის გაუმჯობესება;

დ) სანედლეულო ბაზის განვითარება;

ე) სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა.

მუხლი 4. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მიზნობრიობა (14.06.2019 N1361)

1. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მიზნობრივი არეალია საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტი, გარდა თვითმმართველი ქალაქებისა.

2. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი სახის გადამამუშავებელი საწარმოები:

ა) ხორცის გადამამუშავება, ხორცპროდუქტების (მათ შორის, „შებოლილი“ წარმოება;

ბ) თევზის გადამამუშავება, თევზპროდუქტების (მათ შორის, „შებოლილი“ წარმოება;

გ) რძის გადამამუშავება, რძის პროდუქტების წარმოება;

დ) ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, ციტრუსის გადამამუშავება;

ე) კაკლის, მიწის თხილისა და სხვა კაკლოვანი კულტურების (გარდა თხილისა) გადამამუშავება;

ვ) მატყლის, ტყავის გადამამუშავება;

ზ) დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამამუშავება;

თ) ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;

ი) ცხოველების, ფრინველებისა და თევზის საკვების წარმოება (კომბინირებული საკვების წარმოება);

კ) მარცვლეულის გადამამუშავება (გარდა ხორბლის ფქვილის წარმოებისა);

ლ) თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქციის გადამამუშავება;

მ) ზღვისა და მტკნარი წყლის პროდუქტებისა და ლოკოკინის გადამამუშავება;

ნ) ღვინის, სპირტისა და ალკოჰოლიანი სასმელების წარმოება (გარდა კახეთის რეგიონში ღვინის წარმოებისა);

ო) ბრიკეტების, პელეტების წარმოება, ასევე მათგან და ხე-ტყის (აგრეთვე დაფნის ნარჩენებისგან) ნახშირის წარმოება.

3. პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი ახალი გადამამუშავებელი საწარმოს შექმნის პროექტის ჯამური ღირებულება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს.

მუხლი 4¹. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ენერგოეფექტური ღუმელების წარმოება (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში დაფინანსდება ენერგოეფექტური ღუმელ(ებ)ის წარმოება.

მუხლი 5. ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმები (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარის შერჩევის კრიტერიუმებია:

ა) ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე იურიდიული პირი (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოსი);

ბ) პოტენციური ბენეფიციარის დამფუძნებელს ან/და პერსონალს უნდა ჰქონდეს ბიზნესის წარმოების სათანადო ცოდნა და გამოცდილება;

გ) პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი ელექტრონული განაცხადი უნდა ითვალისწინებდეს გადამამუშავებელი საწარმოს შექმნას ან უმოქმედო საწარმოს რეაბილიტაციას, ხოლო ენერგოეფექტური ღუმელ(ებ)ის წარმოების შემთხვევაში, ახალი საწარმოს შექმნას ან არსებული საწარმოს მოდერნიზებას/გაფართოებას ან უმოქმედო საწარმოს რეაბილიტაციას;

დ) პოტენციურმა ბენეფიციარმა უნდა წარადგინოს სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმატის გათვალისწინებით შედგენილი ბიზნესგეგმა;

ე) პოტენციური ბენეფიციარის მიერ დამატებით მოძიებულ უნდა იქნეს გადამამუშავებელი საწარმოს ან ენერგოეფექტური ღუმელ(ებ)ის წარმოების პროექტის დაფინანსების სხვა წყაროები (მათ შორის, დასაშვებია შეღავათიანი აგროკრედიტის/აგროლიზინგის დამტკიცების წერილი);

ვ) პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტი გათვლილი უნდა იყოს ადგილობრივი ნედლეულის გადამამუშავებასა და ადგილობრივი შრომითი რესურსების გამოყენებაზე, გარდა ენერგოეფექტური ღუმელ(ებ)ის წარმოების პროექტისა;

ზ) თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში სააგენტოს მიერ დაფინანსდება მეწარმე იურიდიული პირის მიერ წარდგენილი არა უმეტეს ერთი ბიზნესგეგმისა. ამასთან, მეწარმე იურიდიული პირი, რომელიც წარმოადგენს თანადაფინანსების პროექტის ერთ-ერთი კომპონენტის ბენეფიციარს, არ შეიძლება, იყოს მეორე კომპონენტის ბენეფიციარი.

მუხლი 6. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა (14.06.2019 N1361)

1. პოტენციური ბენეფიციარ(ებ)ის მიერ ელექტრონულად წარდგენილი განაცხად(ებ)ის განხილვა და მათზე სააგენტოს თანადაფინანსების გაცემის გადაწყვეტილება მიიღება შემდეგი პროცედურების მიხედვით:

ა) გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში განაცხადების მიღებას ახორციელებს სააგენტო ელექტრონული ფორმით, საკუთარი ვებგვერდის საშუალებით; (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ბ) განაცხადის მიერ შესაბამისობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული შეტყობინების მიღებიდან 120 (ას ოცი) კალენდარული დღის ვადაში პოტენციურმა ბენეფიციარმა უნდა წარადგინოს „თანადაფინანსების პროექტის“ მე-5 მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაცია;

გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტაციაში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოსწორება უნდა განხორციელდეს ბენეფიციარის მიერ საკუთარი რესურსით, არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით ელექტრონული შეტყობინების მიღებიდან;

დ) სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, პოტენციური ბენეფიციარი წარმოადგენს დამატებით დოკუმენტაციას, რომელსაც განსაზღვრავს თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში შექმნილი წინასწარი განხილვის კომისია (შემდგომში - კომისია), ბიზნესგეგმის სპეციფიკიდან გამომდინარე;

ე) წინასწარი განხილვის კომისიის დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო;

ვ) წარმოდგენილ ბიზნესგეგმას თანმდევ დოკუმენტაციასთან ერთად განიხილავს კომისია სააგენტოს მიერ შემუშავებული და ამტკიცებული პროცედურების შესაბამისად.

2. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის პირობებთან შესაბამისობის შემთხვევაში, ბიზნესგეგმა წარედგინება თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში შექმნილ საგრანტო კომიტეტს (შემდგომში – კომიტეტი) განსახილველად.

3. კომიტეტის წევრები განისაზღვრებიან შემდეგი უწყებებიდან:

ა) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ბ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

გ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

დ) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

ე) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია;

ვ) სს „საპარტნიორო ფონდი“;

ზ) ა(ა)იპ – საქართველოს საბანკო ასოციაცია;

თ) ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია;

ი) ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნესასოციაცია;

კ) სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;

ლ) ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

4. კომიტეტის დებულებას შეიმუშავებს და ამტკიცებს სააგენტო, ხოლო კომიტეტის შემადგენლობას განსაზღვრავს და ამტკიცებს სააგენტოს გამგეობა.

5. კომიტეტი განიხილავს სააგენტოს მიერ წარდგენილ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტით გათვალისწინებული სააგენტოს თანმხვედრი თანადაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

6. თანადაფინანსების გაცემის დეტალურ პროცედურას შეიმუშავებს. და ამტკიცებს სააგენტო.

მუხლი 7. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში დასაფინანსებელი ხარჯების სახეები და დაფინანსების წყაროები (14.06.2019 N1361)

1. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელია შემდეგი დანახარჯების დაფინანსება (მათ შორის, შეღავათიანი აგროკრედიტით/აგროლიზინგით): (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

ა) ძირითადი საშუალებების (მათ შორის, საწარმოს სპეცტექნიკითა და წარმოების შესაბამისი კომუნიკაციებით უზრუნველყოფა) შეძენა/შექმნა ან/და ლიზინგით მიღება (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებისა);

ბ) ტექნიკური დახმარებისათვის გათვალისწინებული ხარჯები.

2. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში გათვალისწინებულია დაფინანსების შემდეგი წყაროები: (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

- ა) შეღავათიანი აგროკრედიტი/შეღავათიანი აგროლიზინგი (ამ განკარგულებით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ პირობების შესაბამისად);
 - ბ) სააგენტოს თანადაფინანსება;
 - გ) ბენეფიციარის თანამონაწილეობა.
3. დასაშვებია ბენეფიციარის მიერ დამატებით მოძიებულ იქნეს პროექტის დაფინანსების სხვა წყაროები.

მუხლი 8. ამოღებულია (14.06.2019 N1361)

მუხლი 9. სააგენტოს თანადაფინანსება

1. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება წარდგენილი პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 350 000 ლარისა. (14.06.2024 N 876)

2. ამოღებულია (14.06.2019 N1361)

3. სააგენტო თითოეული დასაფინანსებელი პროექტისათვის ინდივიდუალურად დაადგენს სააგენტოს თანმხვედრი თანადაფინანსების თითოეული ტრანშის გახარჯვისთვის აუცილებელ წინაპირობებს.

4. სააგენტოს თანადაფინანსება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ძირითადი საშუალებების შესაძენად.

5. დაუშვებელია სააგენტოს თანადაფინანსების გამოყენება:

ა) საწარმოს საბრუნავი სახსრების, მათ შორის, საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად;

ბ) მიწის ნაკვეთის შესაძენად;

გ) შენობა-ნაგებობების შესაძენად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შეძენა ხორციელდება სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსაგან, მუნიციპალიტეტებისაგან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციის ხელისუფლების შესაბამისი ორგანოსაგან, სახელმწიფო ან მასთან აფილირებული საწარმოებისაგან.

6. თანადაფინანსების თანხის მშენებლობის ან/და რემონტის მიზნით გამოყენების შემთხვევაში, ბენეფიციარის მიერ წარდგენილი უნდა იყოს ექსპერტიზაგავლილი დეტალური ხარჯთაღრიცხვა. ხარჯთაღრიცხვისა და ჩატარებული სამშენებლო ან/და სარემონტო სამუშაოების ექსპერტიზას განახორციელებენ სააგენტოს გამგეობის მიერ განსაზღვრული პირებიდან ერთ-ერთი, ბენეფიციარის შერჩევით. აღნიშნული არ ვრცელდება ამ პუნქტის ძალაში შესვლამდე საგრანტო კომიტეტის მიერ დამტკიცებულ პროექტებზე.

მუხლი 10. ამოღებულია (14.06.2019 N1361)

მუხლი 11. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის

სპეციალური პირობები (14.06.2024 N 876)

გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის სპეციალური პირობები ვრცელდება იმ პროექტ(ებ)ზე, რომლებიც განხორციელდება მაღალმთიან დასახლებებში ან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ან, რომელსაც განხორციელებს სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი. მოცემულ შემთხვევაში საწარმოების თანადაფინანსება განხორციელდება შემდეგი პრინციპით: სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არაუმეტეს 40%-ით და არაუმეტეს 350 000 ლარით.

მუხლი 12. გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების ბენეფიციარ(ებ)ისთვის ტექნიკური დახმარება (14.06.2019 N1361)

ტექნიკური დახმარების პირობებს, თანადაფინანსების მოცულობებსა და გაცემის წესს შეიმუშავებს სააგენტო და ამტკიცებს სააგენტოს გამგეობა.

მუხლი 13. გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ბენეფიციარის ვალდებულებები (14.06.2019 N1361)

ბენეფიციარი ვალდებულია:

ა) შეუნარჩუნოს საწარმოს პროფილი საწარმოს ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში. საწარმოს ამოქმედების თარიღი განისაზღვრება ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროების სრულად ათვისებისა და მიზნობრივად გახარჯვის დოკუმენტურად დადასტურების მომენტისათვის, მაგრამ არა უგვიანეს თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვისა. ამასთან, დასაშვებია საწარმოს ამოქმედების თარიღი განისაზღვროს თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვემდე ვადაში, ბენეფიციარის მხრიდან გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტის პროექტის დაფინანსების წყაროების სრულად ათვისების მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს ამოქმედების თარიღს განსაზღვრავს სააგენტო, ბენეფიციარის შესაბამისი წერილობითი მომართვის საფუძველზე;

ბენიშენა სააგენტო უფლებამოსილია, ბენეფიციარის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეცვალოს „თანადაფინანსების პროექტის“ გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში 2018 წლის პირველ ივნისამდე საგრანტო კომიტეტის გადაწყვეტილებით დაფინანსებული ბენეფიციარ(ებ)ისთვის განსაზღვრული საწარმოს ამოქმედების თარიღი:

ბ) ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, პროექტის ფარგლებში შექმნილი/შემქნილი ძირითადი საშუალებები (მათ შორის, შენობა-ნაგებობანი) იპოთეკით/გირავნობით დაიტვირთოს სააგენტოს სასარგებლოდ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავდროულად, დასაშვებია სააგენტოს იპოთეკა/გირავნობა იყოს რიგით მეორე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის იპოთეკარია/მოგირავნეა სესხის გამცემი ბანკი.

შენიშვნა აღნიშნული ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ასევე გავრცელდეს თანადაფინანსების პროექტის იმ ბენეფიციარებზეც, რომლებთანაც თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაფორმებულია ბენეფიციარის თანადაფინანსების ხელშეკრულება.

მუხლი 14. ამოღებულია (14.06.2019 N1361)

მუხლი 15. ამოღებულია (14.06.2019 N1361)

მუხლი 16. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტი

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის მიზნები და ამოცანებია:

- ა) პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სტანდარტიზაციის ხელშეწყობა;
- ბ) მრავალწლოვანი და ერთწლოვანი კულტურებით თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება;
- გ) ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა;
- დ) ფერმერებისათვის მიღებული მოსავლის დასაწყობების ხელშეწყობისათვის დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნა;
- ე) შემნახველი საწარმოებისათვის სერვისის მიმწოდებლად ჩამოყალიბების ხელშეწყობა;
- ვ) შემნახველი ინფრასტრუქტურის სტანდარტიზაციის ხელშეწყობა.

მუხლი 17. ახალი შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პირობები

1. დაფინანსდება მხოლოდ ახალი სამაცივრე ან/და მშრალი სასაწყობო საწარმოების შექმნა.
2. შემნახველი საწარმოს ტევადობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 200 ტონას.
3. **ამოღებულია** (14.06.2019 N1361)
4. შემნახველი საწარმო უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტებს, რომლებსაც განსაზღვრავს სააგენტო და ამტკიცებს სააგენტოს გამგეობა.
5. შემნახველი საწარმოს ტექნიკური პარამეტრები გათვლილი უნდა იყოს შესაბამის რეგიონში წარმოებული პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სპეციფიკაზე. (14.06.2019 N1361)
6. დადგენილია პირველადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახეობების ჩამონათვალი: ციტრუსოვანი, კურკოვანი, კენკროვანი, თესლოვანი, სუბტროპიკული, კაკლოვანი, ბოსტნეული, მარცვლეული, ბაღჩეული კულტურები და ყურძენი. (27.04.2021 N634)
7. **ამოღებულია** (14.06.2019 N1361)
8. შემნახველი საწარმოების შექმნა დაფინანსდება საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში, შემდეგი თვითმმართველი ქალაქების: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ბათუმისა და ფოთის გარდა. ამასთან მარცვლეულის შემნახველი საწარმოს შექმნა ასევე დაფინანსდება შემდეგ თვითმმართველ ქალაქებში: ბათუმსა და ფოთში. (27.04.2021 N634)

მუხლი 18. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის შეზღუდვები (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტით გათვალისწინებული თანადაფინანსება არ გავრცელდება:

1. რძისა და რძის პროდუქტების შემნახველ საწარმოებზე.
2. ხორცისა და ხორცპროდუქტების შემნახველ საწარმოებზე.
3. თევზისა და თევზპროდუქტების შემნახველ საწარმოებზე.

მუხლი 19. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ბენეფიციარი და მისი შესაბამისობის კრიტერიუმები

1. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს – საქართველოში რეგისტრირებული მეწარმე იურიდიული პირი.

2. ბენეფიციარი არ შეიძლება იყოს სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმო.

3. პოტენციურ ბენეფიციარს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს მიწის ნაკვეთი, რომელზეც იგეგმება შემნახველი საწარმოს შექმნა. (14.06.2019 N1361)

4. იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარი არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, იგი დამატებით უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: (14.06.2019 N1361)

ა) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების არანაკლებ 3/4-ს (თითოეულ წევრს) უნდა ჰქონდეს საკუთრებაში ან/და კოოპერატივის საკუთრებაში შეტანილი, პაის სახით, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (რომელზეც გაშენებულია ბაღი ან მოჰყავთ ბოსტნეული), რომელსაც არ გაასხვისებს/გადასცემს მესამე პირს დროებით სარგებლობაში ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე;

ბ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების საკუთრებაში არსებული ან წევრების მიერ კოოპერატივის საკუთრებაში პაის სახით შეტანილი მიწის ნაკვეთების ფართობი უნდა იყოს შესაბამისობაში შესაქმნელი შემნახველი საწარმოს წარმადობასთან/მოცულობასთან. შესაბამისობის დეტალურ კრიტერიუმებს განსაზღვრავს სააგენტო და ამტკიცებს სააგენტოს გამგეობა.

მუხლი 20. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში ბენეფიციარის თანადაფინანსების სტრუქტურა და მიზნობრიობა (14.06.2019 N1361)

1. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება შესაძლებელია შემდეგი წყაროების გამოყენებით:

ა) სააგენტოს თანადაფინანსება – პროექტის ჯამური ღირებულების არა უმეტეს 30%-ისა, მაგრამ არა უმეტეს 350 000 ლარისა; (29.08.2023 N 1555)

ბ) ბენეფიციარის მიერ დამატებით მოძიებულ უნდა იქნეს შემნახველი საწარმოს პროექტის დაფინანსების სხვა წყაროები (მათ შორის, დასაშვებია შეღავათიანი აგროკრედიტი/აგროლიზინგი) (ამ განკარგულებით დამტკიცებული „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ პირობების შესაბამისად).

2. პროექტის ჯამურ ღირებულებაში არ მოხდება შემდეგი ხარჯების გათვალისწინება: მიწის ღირებულება, საპროექტო სამუშაოები და საბრუნავი საშუალებების შესყიდვის ხარჯები (მათ შორის, საოპერაციო ხარჯები).

3. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში შესაძლებელია, დაფინანსდეს (მათ შორის, შეღავათიანი აგროკრედიტით/ლიზინგით) მხოლოდ ძირითადი საშუალებების შექმნა, მათ შორის, შენობა-ნაგებობების მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯები დღგ-ის, დანადგარების ტრანსპორტირებისა და მონტაჟის ღირებულების ჩათვლით. ასევე დაფინანსდება საწარმოთა შესაბამისი კომუნიკაციებით უზრუნველყოფა.

4. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტით გათვალისწინებული თანადაფინანსება არ გავრცელდება:

ა) მიწის შეძენაზე;

ბ) შენობა-ნაგებობების შეძენაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეძენა ხორციელდება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსაგან, მუნიციპალიტეტებისაგან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოსაგან, სახელმწიფო ან მასთან აფილირებული საწარმოებისაგან;

გ) არსებული შემნახველი საწარმოს ან შემნახველ საწარმოს კაპიტალში არსებული წილის შეძენაზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ გამოთვლის შემთხვევაში, თანადაფინანსების თანხა არ შეიძლება ჩაითვალოს ამავე ქვეპუნქტში აღნიშნული უძრავი ნივთის სახელმწიფოსგან პრივატიზებისას საპრივატიზებო პირობის სახით განსაზღვრული საინვესტიციო ვალდებულების შესრულებაში.

მუხლი 20¹. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის სპეციალური პირობები (29.08.2023 N 1555)

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის სპეციალური პირობები ვრცელდება იმ პროექტ(ებ)ზე, რომლებიც განხორციელდება მაღალმთიან დასახლებებში ან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ან რომელსაც განხორციელებს სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი. მოცემულ შემთხვევაში საწარმოების თანადაფინანსება განხორციელდება შემდეგი პრინციპით: სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა განისაზღვრება პროექტის ჯამური ღირებულების არა უმეტეს 40%-ით და არა უმეტეს 350 000 ლარისა.

მუხლი 21. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია

1. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში, პოტენციურმა ბენეფიციარმა სააგენტოში უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განაცხადი;

ბ) ამოღებულია (14.06.2019 N1361)

გ) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში – სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, საქმიანობის საგნის მითითებით;

დ) სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, შესაქმნელი შემნახველი საწარმოს ტექნიკური პარამეტრებისა და დაგეგმილი კულტურების შენახვის სპეციფიკის ურთიერთშესაბამისობის შესახებ;

ე) მშენებლობის დეტალური ხარჯთაღრიცხვისა და დანადგარების/აგრეგატების ღირებულების საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისობის შესახებ ექსპერტიზაგავლილი დასკვნა, რომელსაც გასცემს სააგენტოს გამგეობის მიერ განსაზღვრული პირებიდან ერთ-ერთი, ბენეფიციარის შერჩევით;

ვ) სამშენებლო/სამონტაჟო კომპანიასთან გაფორმებული კონტრაქტი და დანადგარების/აგრეგატების მიმწოდებლის ინვოისი/კონტრაქტი;

ზ) მიწის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) სამშენებლო ნებართვა;

ი) მშენებლობისა და სამუშაოების განხორციელების ვადაში გაწერილი დეტალური გეგმა;

კ) ამოღებულია (14.06.2019 N1361)

ლ) შემნახველი საწარმოს შექმნისათვის საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი (დასაშვებია შეღავათიანი აგროკრედიტის/ლიზინგის დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა); (14.06.2019 N1361)

მ) ამოღებულია (14.06.2019 N1361)

ნ) ამოღებულია (29.08.2023 N 1555)

ო) შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროების სრულად ათვისებისა და მიზნობრივად გახარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი. (14.06.2019 N1361)

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენა უნდა განხორციელდეს სააგენტოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პროცედურების შესაბამისად. (14.06.2019 N1361)

3. ამოღებულია (14.06.2019 N1361)

მუხლი 22. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში თანადაფინანსების გაცემის ეტაპები

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში, თანადაფინანსების გაცემის ეტაპებია:

ა) განაცხადისა და თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა;

ბ) ამოღებულია (14.06.2019 N1361)

გ) ბენეფიციარის თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება;

დ) თანადაფინანსების გაცემა. (14.06.2019 N1361)

მუხლი 23. შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ბენეფიციარის ვალდებულებები (14.06.2019 N1361)

შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ბენეფიციარის ვალდებულებებია:

ა) შეუნარჩუნოს შემნახველ საწარმოს პროფილი საწარმოს ამოქმედებიდან 2 წლის განმავლობაში. საწარმოს ამოქმედების თარიღი განისაზღვრება საწარმოს ექსპლუატაციაში მიღების თარიღით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ექსპლუატაციაში მყოფ შენობაში. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს ამოქმედების თარიღი განისაზღვრება ბენეფიციარის მიერ წარდგენილი პროექტით გათვალისწინებული დაფინანსების წყაროების სრულად ათვისებისა და მიზნობრივად გახარჯვის დოკუმენტურად დადასტურების მომენტისათვის, მაგრამ არა უგვიანეს თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვისა. ამასთან, დასაშვებია საწარმოს ამოქმედების თარიღი განისაზღვროს თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვემდე ვადაში, ბენეფიციარის მხრიდან პროექტის დაფინანსების წყაროების სრულად ათვისების მიუხედავად. ასეთ შემთხვევაში, საწარმოს ამოქმედების თარიღს განსაზღვრავს სააგენტო, ბენეფიციარის შესაბამისი წერილობითი მომართვის საფუძველზე;

შენიშვნა სააგენტო უფლებამოსილია, ბენეფიციარის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შეცვალოს „თანადაფინანსების პროექტის“ შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში, ამ განკარგულების ძალაში შესვლამდე გაფორმებულ ხელშეკრულებებთან მიმართებით, შემნახველი 15 საწარმოს ამოქმედების თარიღი;

ბ) ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, პროექტის ფარგლებში შექმნილი/შემენილი ძირითადი საშუალებები (მათ შორის, შენობა-ნაგებობანი) იპოთეკით/გირავნობით დაიტვირთოს სააგენტოს სასარგებლოდ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში. ამავდროულად, დასაშვებია სააგენტოს იპოთეკა/გირავნობა იყოს რიგით მეორე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირველი რიგის იპოთეკარია/მოგირავნეა სესხის გამცემი ბანკი;

შენიშვნა აღნიშნული ქვეპუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ასევე გავრცელდეს თანადაფინანსების პროექტის იმ ბენეფიციარებზეც, რომლებთანაც თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაფორმებულია ბენეფიციარის თანადაფინანსების ხელშეკრულება.

მუხლი 24. მონიტორინგი (12.03.2021 N371 ძალაშია 2021 წლის 22 მარტიდან და არ ვრცელდება განკარგულების ძალაში შესვლამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში დაფინანსებულმა ბენეფიციარებმა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დადასტურების მიზნით უნდა წარადგინონ აუდიტორული დასკვნა.